ეროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ
ეროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდის ორშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს

№14 (1524) 17-20 თებერვალი, 1997 წელი



## ვინ იყო ვინ?
### ნუგზარ ფოფხაძის
## წერილების ყოვლის დამთრგუნველი დასასრული



ჩემს შეკითხვაზე, მე, ბიუროს წევრმა და ცკ-ს მდივანმა, რატომ არ უნდა ვიცოდე, თუ რას აპირებთ დღეს და რა მოგველის ხვალ... მიპასუხეს: პანიკიორი ხარ, აუცილებელი არ არის ყველამ (!) ყველაფერი (!) იცოდეს, ისედაც გადის ამბები ბიუროდანო; ჩვენ ახლა უნდა ჩავაქროთ შუქი, წავიდეთ სახლებში, დანარჩენი სამხედროების (!!!) საქმეაო! ამ პასუხის შემდეგ მე მათთან რაღა მესაქმებოდა და „სასამართლო“ დამთავრდა ჩემი კატეგორიული განცხადებით: შეუძლებელია არ გითხრათ, რომ დღეს ჩვენი დაღუპვის დღეა! მაგრამ წყალს წაუღია ჩვენი თავი, დღეს საქართველოსაც ღუპავთ-მეთქი...

პატიაშვილს კი ვუთხარი: ნუ უჯერებ მოსკოველებს, ეგენი გვღუპავენ, მათ რა ენაღვლებათ, დაადებენ თავს და ხვალ აქედან წავლენ, მე და შენ კი აქ დავრჩებით, ჩვენს ხალხთან, მას თვალებში უნდა ვუცქიროთ, მასთან უნდა ვიყოთ მართლები!.. მე ჩემი გითხარი, დანარჩენი შენი საქმეამეთქი!

... რა ვქნა ახლა, ვის მოვუხმო მოწმედ? ამ ფაქტს პატიაშვილი დამიდასტურებს?.. მაგრამ, ხომ არის ხალხი, რომელმაც ამ ამბის თავიც იცის და ბოლოც, საათი და წუთიც...

## ჩეჩნეთის არჩევნები ქართველ დამკვირვებელთა თვალით

მეხუთე გვერდი

XI კლასელებისა და აბიტურიენტებისათვის

## მიხეილ ჯავახიშვილი

მეხუთე გვერდი

სპრინტ-ლატარია „სიურპრიზ – მეორე არხის“ მეორე ტირაჟის მესამე ტურის გათამაშების მოგებათა ცხრილი

მეთერთმეტე გვერდი

• რა, როდის და რომელ არხზე

იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ რამე...

# ვინ იყო ვინ?

## მასალები საქართველოს ისტორიის მომავალი მემატიანისათვის

### ნუგზარ ფოფხაძე:

# ჩვენ ახლა უნდა ჩავაქროთ შუქი, წავიდეთ სახლებში, დანარჩენი სამხედროების (!!!) საქმეაო!

დასასრული. დასაწყისი იხილეთ „საქართველო" №70,71,72, 1996 წ. №1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13 1997 წ.

–შეიძლებოდა თუ არა 9 აპრილის თავიდან აცილება და თუ შეიძლებოდა, ვის ან რა ძალას შეეძლო ამის გაკეთება?

–ტერმინში „9 აპრილი" ჩემთვის ჩადებულია ორი ცნება–ერთი, იმ ღამის დარბევის კონკრეტული ფაქტი, და მეორე, ზოგად-ისტორიული–ეროვნული განთავისუფლების, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გადამწყვეტი ეტაპის დასაწყისი, რომელსაც მოჰყვა საქართველოში კომუნისტური ხელისუფლების დისკრედიტაცია და მისი აღსასრული.

ამ უკანასკნელის თავიდან აცილება, იმ სისხლიანი ღამის შემდეგ, პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. სწორედ მან დააჩქარა, თანაც არა მარტო საქართველოს მასშტაბით, სისტემის რღვევა, მისი სახელის გატეხისა და დაშლის პროცესი. ერთ პლატფორმაზე, უაღრესად მიმზიდველი იდეის დროშით, მაქსიმალისტური სულისკვეთებით გაერთიანდნენ პრაქტიკულად მთელი ძალები, მათ შორის რიგით და ფუნქციონერ კომუნისტთა ვეებერთელა ნაწილიც. ისიც კი, ვინც თვალში მოსახვედრად არ აქტიურობდა რუსთაველზე, მთავრობის სახლის წინ, გულით თანაუგრძნობდა იდეას. მაშინაც ვამბობდი და ახლაც გავიმეორებ: ასეთი იყო რეალობა და ყველას, უკლებლივ ყველას უნდა შეეგნო ეს. ხალხის აზვირთებულ მოძრაობას, მისი უწმინდესი ნების აღსრულებას წინ ვერაფერი დაუდგებოდა.

თუ ამ კითხვაში თქვენ მხედველობაში გაქვთ კონკრეტული „ხოცვა-ჟლეტა" და, როგორც ჩანს, ეს ასეა, რა თქმა უნდა, შეიძლებოდა მისი თავიდან აცილება. უფრო ზუსტად, აუცილებელი იყო ეს უბედურება არ დაგვეშვა.

*რა ძალას უნდა გაეკეთებინა ეს?*

ამ კითხვის პასუხი ერთადერთია: *ორივეს*–ხელისუფლებას და არაფორმალთა ლიდერებს *ცალ-ცალკე* და *ორივეს–ერთად*! მაგრამ, უწინარეს, ხელისუფლებას და მის ლიდერს!

იყო ამისი შესაძლებლობა ბოლო წუთამდე.

...ამას წინათ მოსკოვის ტელევიზიით გამოსვლისას ალექსანდრე იაკოვლევმა, მაშინდელი პოლიტბიუროს წევრმა, გორბაჩოვისა და შევარდნაძის თანამოაზრემ– „პერესტროიკის" ერთ-ერთმა ინიციატორმა და თეორეტიკოსმა, კითხვაზე, მემუარებს რატომ არ აქვეყნებთო, უპასუხა: არ ვჩქარობ, არ მინდა დავემსგავსო იმ ავტორებს, საკუთარ თავს რომ ეფერებიანო. ამ ბრძნული ნათქვამის ფონზე, სულ ვშიშობ, ვინმეს არ დავუტოვო სწორედ ასეთი შთაბეჭდილება. ამიტომაც „დავივიწყე" ერთობ საინტერესო და მრავლისმეტყველი არაერთი ფაქტი. მაგრამ ერთი მაინც უნდა გავიხსენო, ვინაიდან, მეტისმეტად პრინციპული მნიშვნელობისა გახლავთ.

...8 აპრილის საღამო, დაახლოებით 8 საათი იქნება, მირეკავს აკაკი კარანაძე, უმაღლესი სასამართლოს მაშინდელი თავმჯდომარე (წინა პუბლიკაციებიდან მკითხველს, ალბათ, ახსოვს, აქტივის კრების შემდეგ სწორედ მას ვთხოვე პატიაშვილთან შესვლა, რათა მიეღწია „ღონისძიებათა გეგმიდან" ავადსახსენებელი პუნქტების ამოღებისთვის) და მეუბნება: დიდი ხნის



ლოდინის შემდეგ, საათ-ნახევრის წინ, როგორც იქნა შევაღწიეო მასთან...

რაც მერე მიამბო, უპრიანია, მკითხველმა მისი ჩანაწერებიდან გაიგოს. (სხვათაშორის, განსვენებულმა აკაკი კარანაძემ ძალიან საინტერესო(!) არქივი დატოვა. ეს მასალები ახლა ჩემს ხელთაა და უფროსი მეგობრის ხსოვნის წინაშე ვალდებული ვარ მოვუაროს–მას როდესმე გამოვაქვეყნებ. 9 აპრილთან დაკავშირებული თავისი მოგონებები მან სტენოგრაფიულად ჩააწერინა უმაღლესი სასამართლოს მაშინდელი თავმჯდომარის მოადგილის ვ.ედიშერაშვილის და სხვათა თანდასწრებით და უპასუხა დამსწრეთა დამაზუსტებელ კითხვებსაც. დღეს ამ მასალიდან შემოკლებულად გაგაცნობთ ფრაგმენტებს, რომლებიც კონკრეტულად ამ ჩვენს განსახილველ თემას ეხება (ცხადია, ჩანაწერების სტილი დაცულია).

დრო–1989 წლის 8 აპრილი, 17 საათის შემდეგ: „...*ვეკითხები, ბატონო ჯუმბერ, რაზეა ლაპარაკი?.. მიპასუხა: იცით რა, ბატონო აკაკი, ამაღამო, უფრო სწორად დილისკენ, მომიტინგეთაგან ყველაზე ცოტა ხალხი რჩება, ამიტომ ჩვენ ვაპირებთ მილიციის მეშვეობით მოედნის განთავისუფლებას და მოშიმშილეების საავადმყოფოში გადაყვანასო...*

*მე კარგად ვიცნობ მილიციას, მისი მუშაობის სტილს, ამიტომ ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე არ მივიჩნიე საჭიროდ ასეთი ღონისძიების ჩატარება და ამიტომ კატეგორიულად ვუთხარი: ახლა, შაბათ-კვირას, პარტიული აპარატი ადგილზე არ არის, არავის გაუფრთხილებია მშობლები და არავის უთქვამს მათთვის, მიდით და წამოიყვანეთ თქვენი შვილები; არავის უთქვამს პედაგოგებითვის, მიდით და მიხედეთ თქვენს მოსწავლეებს. მთელი ქალაქი თავისუფალია სამსახურისგან. ეგებ, დილაადრიან დაიწყოთ „ხმაური" და ვუპატრონოთ ბავშვებს... მოკლედ, ამ საუბარში ვართ, როდესაც ჩერქეზია შემოდის და აცხადებს, რომ ორშაბათს გამოქვეყნდებაო ახალი ბრძანებულება. ვიკითხე, თუ რას ეხება ეს ბრძანებულება. მიპასუხეს, ეს დოკუმენტი გააძლიერებს პასუხისმგებლობას ასეთ მიტინგებთან დაკავშირებითო. მე ეს ავიღე, როგორც ჩემი ნალაპარაკევისადმი მხარდაჭერად და დავსძინე: აი, ხომ ხედავთ, ბრძანებულებაც ორშაბათს იქნება და ნუ ვიჩქარებთ...*

*ამ დროს პატიაშვილს აცნობეს, რომ ხაზზე მოსკოვია და ითხოვენ სასწრაფოდ თქვენთან დაკავშირებასო. ბოდიში მომიხადა და მეორე ოთახში გავიდა...*

*პატიაშვილი განსხვავებული განწყობილებით დაბრუნდა, ენერგიულად და პირდაპირ მიმართა ნ. შოშიაშვილს–რესპუბლიკის პროკურორის მოვალეობის შემსრულებელს, რომელიც ამ დროს უკვე მოსული იყო, გააჩნდა თუ არა პროკურატურას სათანადო მასალები არაფორმალთა ლიდერების დასაპატიმრებლად. შოშიაშვილმა უპასუხა, რომ პროკურატურას გააჩნდა მასალები სსკ 206–3 მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე. პატიაშვილმა შენიშნა, რომ მოსკოველებს მიაჩნიათ, რომ საქართველოს პროკურატურის მასალები სრულებით არ არის საკმარისი მათ დასაპატიმრებლადო...*

*ჩემთვის ყოველივე უცებ გახდა ნათელი და საუბარში უბოდიშოდ ჩავერიე–პატიაშვილს ვთხოვე, სასწრაფოდ გააფრთხილებინეთ შოთა გორგოძე, არაფერი მოიმოქმედოს არაფორმალთა დასაპატიმრებლად-თქო. პატიაშვილმა დამამშვიდა, უჩემოდ არაფერს გააკეთებსო და დაამატა: ახლა ველაპარაკე რაზუმოვსკის, მისი აზრით შექმნილი ვითარება პოლიტიკური ხერხებით უნდა მოწესრიგდესო...*

*მესიამოვნა ეს და დაბეჯითებით გავუმეორე: ძალას ნურცერთ შემთხვევაში ნუ გამოიყენებთ-მეთქი. და შევახსენე, მე ამას თქვენ პირველად არ გთხოვთ, ამასწინანდელ თათბირზეც გულწრფელად გითხარით ეს და ამის გამო ცკ გამინაწყენდა-მეთქი...*

*და ამ მომენტში საუბარში უხეშად ჩაერია პირველი მდივნის თანაშემწე: ამ იურისტებმა ყოველთვის უნდა აურიონ საქმეო. იძულებული გავხდი იგი გამეკიცხა, თანაც საკმაოდ მკაცრად, მოურიდებლად. ასეთი ხალხი ძალიან საშიშია. ისინი დროზე თუ არ შეაჩერე, ყველაფერს დაღუპავენ. პატიაშვილმა რეაქცია რომ არ მისცა მის ნათქვამს, წყენა გამოვთქვი. როგორ შეიძლება ამ ფსიქოლოგიით ადამიანებთან მუშაობა-მეთქი...*

*...სამსახურში დაბრუნების შემდეგ ჩემთან მოვიყვანე სანდრო კავსაძე, მოვუყევი ეს ყველაფერი და ვთხოვე: დაურეკე პატიაშვილს, აცნობე, რომ კარანაძემ თქვენთან შეხვედრის საქმის კურსში ჩამაყენა და შენც კატეგორიულად მოითხოვე ვითარების მხოლოდ პოლიტიკური მეთოდებით გადაჭრა-მეთქი...*

*სანდრო კავსაძე რომ წავიდა, რამდენიმე ხნის შემდეგ გადავურეკე ნუგზარს (მხედველობაში ვყავარ მე–ნ.ფ.) და... ყველაფერი მოვუყევი, დეტალებში და, სხვათაშორის, მე ნუგზარი იმ მხრივაც დავამშვიდე, რომ პატიაშვილთან რაზუმოვსკის ნალაპარაკევი მოვუყევი, ყველაფერი ასეთნაირად გადაწყდება-მეთქი... შემდეგ ჯიმი ყუფიანიც (ახლანდელი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე–ნ.ფ.) მოვიდა, მასაც დეტალურად მოვუყევი ყველაფერი...*

*გულახდილად რომ გითხრათ, რაღაც ისე მეგონა, რომ ყველაფერი საშიში რაზუმოვსკისთან საუბრით დამთავრდა, მაინც პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ცკ-ს მდივანი რეკავს, ამბობს, ურჩევს... შემდეგ, როგორც სჩანს, სხვებთანაც ჰქონდა ლაპარაკი, შესაძლოა, ლიგაჩოვთან, ჩებრიკოვთან..."*

ციტირება აქ უნდა გავწყვიტო და დავადასტურო: კავსაძემ კარანაძის თხოვნა შეასრულა, არა მარტო დაუკავშირდა, არამედ ეახლა კიდეც პატიაშვილს კონკრეტული წინადადებებით. ეს ფაქტი ჩემთვის პატიაშვილისგანვე არის ცნობილი, ვინაიდან თვითონ დამირეკა და მითხრა, ჩემთან ახლა კავსაძეა და მთავაზობს ავტორიტეტული ადამიანების და ადმინისტრაციული ორგანოების თანამშრომლების მომიტინგეებთან მისვლასო. კარანაძემ და კავსაძემ ასეც ქნეს, მაგრამ ამას, ჩემი აზრით, უკვე აღარავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა.

ეს ფაქტები იმიტომ მოვიტანე, რომ პირდაპირ ვთქვა: იყვნენ ადამიანები, რომლებიც წუხდნენ, ითხოვდნენ ვითარების განმუხტვას პოლიტიკური მეთოდებით, წინაალმდეგნი იყვნენ ძალისმიერი გადაწყვეტილებისა, აფრთხილებდნენ პირველ მდივანს მოსალოდნელი საშიშროების შესახებ. ზოგი მათგანი ამას პირისპირ აკეთებდა, ზოგიც–საჯაროდ. განა 8 აპრილის პარტაქტივზე ზოგიერთმა გამომსვლელმა (სსრკ 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი შ.შიოშვილი, რაიკომის პირველი მდივანი ნ.ლეკიშვილი, კომკავშირის ცკ-ს პირველი მდივანი ს.გოგიბერიძე) იგივე არა ქნა, ანდა ჯანსულ ჩარკვიანის რეპლიკა და მხატვარ თემო გოცაძის „თავხედური" შეკითხვა ამასვე არ ნიშნავდა?

ამ ადამიანთა შორის იდეოლოგიური სამსახურის ხელმძღვანელებიც ვიყავით.

ერთხელ მოგახსენეთ, ახლა ყალბი თავმდაბლობისთვის არ მცალია-მეთქი, და ამიტომ ზოგიერთი რამ კიდევ ერთხელ უნდა „წამოვატივტივო". „კიდევ ერთხელ"-მეთქი იმიტომ, რომ რასაც ახლა მოგახსენებთ, ესეც ცნობილია– საქართველოს უმაღლესი საბჭოს საგამოძიებო კომისიას ვუამბე 1989 წლის 17 მაისს. ესეც აღბეჭდილია ჩემი „დაკითხვის" ვიდეოფირზე, მაგრამ... შეაყარე კედელს ცერცვი, კომისიის თავმჯდომარეს როცა არ უნდოდა, რას გაითვალისწინებდა.

...ერთი სიტყვით, ის დრო, როცა კარანაძე უკვე მესაუბრა ტელეფონით, კავსაძეც უკვე ნამყოფია პატიაშვილთან. ისიც ვიცი, რა ურჩია პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა რაზუმოვსკიმ პატიაშვილს, ამიტომ შედარებით დავმშვიდდი და კიდევაც ვირწმუნე, რომ იმ ღამეს საგანგაშო არაფერი მოხდებოდა.

ჩემს სამუშაო ოთახში შეკრებილები ვართ ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი (გაზეთ „კომუნისტის" რედაქტორი), ვაჟა გურგენიძე და მიხეილ გულიევი (იდეოლოგიური განყოფილების გამგის მოადგილეები). ვმუშაობთ პარტაქტივზე განხილულ ცკ-ს მიმართვის საბოლოო, საგაზეთო ვარიანტზე–ხვალინდელ გაზეთში ყველას სიბრძნისკენ, გონიერებისკენ, დიალოგისკენ, წინდახედულებისკენ უნდა მოვუწოდოთ... ყველა ფრაზას ვწონით... ვერც ერთი ჩვენგანი ვერ იფიქრებს იმას, რომ ფუჭად ვირჯებით და ცინიზმის კლასიკურ მაგალითს მიიღებს ხვალ მთელი ქვეყანა. იმის შემდეგ, რაც ამაღამ მოხდება, ვინღა დაიჯერებს, რომ ამ მიმართვის ავტორებმა არ იცოდნენ მოსალოდნელი დარბევის ამბავი?...

ასე, 10 საათია. ზარი. ხაზზეა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე თემურ სიდამონიძე. მეგობრული ურთიერთობა კი გვაქვს, მაგრამ მიზეზთა გამო სხვათა და სხვათა, კარგა ხანია არ შევხმიანებივართ ერთმანეთს. მომიკითხა. თქვენთან რა ამბებია-მეთქი და... დეტალურად მიამბო იმ თათბირის შესახებ, რომელიც ის-ის იყო გაუმართავთ

გაგრძელება მე-4 გვ.

## გიორგი მახარაძეს მოეხსნა დიპლომატიური იმუნიტეტი

საქართველოს კორესპონდენტს სარწმუნო წყარომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროდან აცნობა, რომ 14 თებერვალს, გვიან ღამით, აშშ-ში საქართველოს საელჩომ ოფიციალური ნოტა გაუგზავნა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტს. ნოტაში ნათქვამია, რომ მიღებულია გადაწყვეტილება, მოეხსნას დიპლომატიური იმუნიტეტი ქართველ დიპლომატს, აშშ-ში საქართველოს საელჩოს თანამშრომელს გიორგი მახარაძეს, რომლის მიზეზითაც 1997 წლის 3 იანვარს ვაშინგტონის ცენტრში მომხდარი ავტოკატასტროფის შედეგად დაიღუპა 16 წლის ამერიკელი გოგონა. ნოტაში, აგრეთვე, ნათქვამია, რომ ქართული მხარე თანახმაა, გიორგი მახარაძემ სასჯელი აშშ-ში მოიხადოს.

სარწმუნო წყარომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროდან სააგენტოს კორესპონდენტს ასევე აცნობა, რომ გადაწყვეტილების მიღებას იმუნიტეტის მოხსნის თაობაზე წინ უძღოდა აქტიური კონსულტაციები საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტს შორის. საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო და აშშ-ში საქართველოს საელჩო ცდილობდნენ მაქსიმალურად დაეცვათ საქართველოს მოქალაქე და გაეჭიანურებინათ დრო, მაგრამ ბოლოს მაინც იძულებულნი გახდნენ მიეღოთ გადაწყვეტილება. ამჟამად გიორგი მახარაძე არ არის დაკავებული. მას არც დააკავებენ, თუ იგი აშშ-ის კანონმდებლობის თანახმად თავს სცნობს დამნაშავედ. თუ გიორგი მახარაძე თავს დამნაშავედ სცნობს, შესაძლოა მან ე.წ. სასამართლო ჟიურიმ, სასამართლო პროცესის გარეშე მიუსაჯოს თავისუფლების აღკვეთა 7-დან 20 წლამდე, რის შემდეგაც საქართველოს მხარე დაიწყებს მუშაობას საქართველოს მოქალაქის დასახსნელად და მის სამშობლოში დასაბრუნებლად. (იბერია)

## გამოძიების პირველი ეტაპი დასრულდა

როგორც საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილემ ანზორ ბალუაშვილმა განაცხადა, მესამე წელია მიმდინარეობს მუშაობა აფხაზეთის კონფლიქტის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებათა გამოსაძიებლად. გამოძიების პროცესი სამი ძირითადი მიმართულებით წარიმართა — ქვეყნის ტერიტორიაზე საომარი კონფლიქტების დაწყების გამომწვევი მიზეზები, მატერიალური და იდეოლოგიური მზადება (რაც წინ უძღოდა აფხაზეთის კონფლიქტს), აფხაზეთში ჩადენილი გენოციდი და ეთნიკური წმენდა.

ა.ბალუაშვილის თქმით, გამოძიების პირველი ეტაპი დასრულდა. არსებობს იმის დამადასტურებელი ფაქტები, რომ წლების მანძილზე საქართველოში მოქმედებდა დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფი, რომელიც დანაშაულებრივ მოღვაწეობას ეწეოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ. მისივე თქმით, აღნიშნულ ჯგუფთან დანაშაულებრივ კავშირში იყვნენ საქართველოს შინაგანი ხელისუფლების მაღალი ეშელონების წარმომადგენლები. 1992 წლიდან საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო კრახის მისაღწევად, დასავლეთ საქართველოში მასიურად ხდებოდა დივერსიული აქტები. იმავე წლის მარტო 10 თებერვლიდან 14 აგვისტომდე ჩადენილ იქნა 26 დივერსიული აქტი. ამ პერიოდში დატაცებულ იქნა 12 მილიარდი რუბლის ფასეულობანი (1$-0,69 რუბლი). ა.ბალუაშვილის განცხადებით, გამოძიება ასევე ფლობს საკმარის მასალებს აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველი მოსახლეობის ეთნიკური წმენდისა და გენოციდის ფაქტებზე და მზად არის მსოფლიოს ნებისმიერ სასამართლოსა და ექსპერტიზას წარუდგინოს აღნიშნული მასალები. (იფრინდა)

# ჩეჩნეთის არჩევნები ქართველ დამკვირვებელთა თვალით

*გაზეთ „საქართველოს" წინა ნომერში შემოგთავაზეთ ლატვიელ დამკვირვებელთა წერილი ჩეჩნეთის არჩევნების შესახებ. სასიამოვნოა, რომ საშუალება მოგვეცა ამ არჩევნების ქართველ თვითმხილველთა მონათხრობიც გაგაცნობთ, რომელშიც ბევრ საინტერესო რასმე გაეცნობა ქართველი მკითხველი.*

## ჩვენ გრძელი გზა ავირჩიეთ

*ინტერვიუ ქართველ პატრიოტთა ლიგის თავმჯდომარესთან გიგა ზაალიშვილთან*

**— ჩეჩნეთის არჩევნებზე დამკვირვებლად ჩასული დელეგაციები უკვე დიდი ხანია დაბრუნდნენ, თქვენ რამ შეგაყოვნათ?**

— იმ სხვებს ია-ვარდით მოფენილი გზები ჰქონდათ. ჩვენ კი ურთულეს პირობებში მოგვიხდა მგზავრობა. იქ ქართველი დამკვირვებლების ორი ჯგუფი იყო კიდევ ჩასული. ერთნი მოსკოვიდან ჩავიდნენ და მათ უფლებამოსილება ჰქონდათ რუსეთის საელჩოებიდან. ესენი იყვნენ უმეტესად ყოფილი პრეზიდენტის მომხრეები და მათმა ასეთი გზით უპრობლემოდ ჩამოსვლამ გარკვეული ეჭვი გააჩინა ჩეჩნებში. მეორე ჯგუფი წამოვიდა ჩრდილო ოსეთის გზით, რომლებმაც ასევე საზღვარი ნორმალურ პირობებში გადალახეს. ეს გასაგებია, მწვანეები იყვნენ. ჩვენ კი არ ვცნობთ რუსეთის ტერიტორიულ მთლიანობას და არ ჩავთვალეთ საჭიროდ ნებართვის აღება რუსეთის ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელ ჩეჩნეთში ჩასასვლელად. ვამაყობთ იმით, რომ ამ ცოტა ხანში უკვე ოთხჯერ მოვახერხეთ რუსეთის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა და მომავალშიც ამგვარად ვაპირებთ მგზავრობას. ჩვენი მიზანია მოვიაროთ მთელი კავკასია კონტაქტების გასაღრმავებლად კავკასიელ ერებს შორის და ამ საქმეში არავითარი მესამე ძალის ჩარევა არ გვჭირდება.

**— ოფიციალური მოწვევა არჩევნებზე დასასწრებად არ გქონდათ?**

— როგორ არა. ჩვენ გვქონდა ჩეჩნეთის პრეზიდენტის, ზელიმხან იანდარბიევის მოწვევა, მაგრამ ოფიციალურად ვიყავით გაფრთხილებული რუსეთის საელჩოსაგან საქართველოში, რომ როგორც კი გადავლახავდით საზღვარს, დაგვაკავებდნენ. ამიტომ ჩვენ გრძელი გზა ავირჩიეთ. ჩავედით ბაქოში. იქ შევხვდით ჩეჩნეთის ადგილობრივ წარმომადგენლობას. აზერბაიჯანიდან გადავედით დაღესტანში ცენტრალური საგუშაგოს გვერდის ავლით და რუსეთის საზღვრის დამცველებთან მოლაპარაკების გზით.

**— როგორ?**

— ფული გადავიხადეთ, თითოეულ კაცზე 50 დოლარი. 6 კაციანი დელეგაციისთვის ეს მძიმე ფინანსური დარტყმა იყო, მაგრამ რა გვექნა. მახაჩკალამდე გზაზე რამდენჯერმე გაგვაჩერეს; ცალკე დაღესტნის მილიცია, ცალკე ფედერალური ჯარები და შინაგან საქმეთა ქვეგანაყოფების საგუშაგოები ყოველ ნაბიჯზე ფულს გვთხოვდნენ. მოგვიხდა ჩხუბი და გაწამაწია. ზოგჯერ საგუშაგოებს ფეხით ვუვლიდით გვერდს, მუხლამდე ტალახში და თოვლში. მახაჩკალიდან ჩეჩნეთამდე კი არავითარი დაბრკოლება აღარ გვქონია. იქ დაგვხვდნენ პრეზიდენტის წარმომადგენლები, რომლებმაც ჯერ ხასავ-იურტში დაგვაბინავეს, შემდეგ კი გროზნომდე მიგვაცილეს. დაღესტან-ჩეჩნეთის საზღვარზე რამდენიმე მილიციის საგუშაგო დგას რუსეთის ფედერალებთან ერთად, მაგრამ ყველაფერს იქ ჩეჩნები აკონტროლებენ. ეს გზა, მოგეხსენებათ, კარგად აქვს შესწავლილი სალმან რადუევს. როგორც კი გადავკვეთეთ საზღვარი, თავი საკუთარ სახლში ვიგრძენით.

გროზნოში დაგვხვდნენ მეგობრები, რომლებმაც კერძო სახლებში გაგვანაწილეს, რადგან იქ სასტუმროები აღარ არსებობს. მრავალბინიანი სახლები საერთოდ აღარ არის. ჩვენ უზრუნველგვყვეს მანქანებითა და დაცვით. მაშინვე შევედით ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, სადაც ბარათები შეგვიფორმეს. შემდგომ გავემგზავრეთ შეიხ მანსურის სახელობის აეროპორტში, სადაც განლაგებული იყვნენ ეუთოს დამკვირვებლები. იქ მოხდა სხვა დამკვირვებლებთან შეხვედრა. ეუთოდან იყო დაახლოებით 80 კაცი, დანარჩენი უცხო ქვეყნებიდან იყვნენ ჩამოსულები.

**— რომელი ქვეყნებიდან?**

— საქართველო, უკრაინა, ბალტიისპირეთი, რუსეთი, საუდის არაბეთი, ისრაელი — ძალიან ბევრი ხალხი იყო. აეროპორტში შეგვხვდა ბატონი გუნდერმანი, რომელიც ხელმძღვანელობდა ეუთოს დამკვირვებელთა მისიას. მან მოგვცა ინსტრუქციები, თუ როგორ მოვქცეულიყავით და გაგვანაწილა საარჩევნო უბნებზე. დამკვირვებლების უსაფრთხოებას იცავდა ჩეჩნეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარები ყაზბეგ მახაშევის მეთაურობით. ჩვენ დაცვაზე უარი ვთქვით, რადგან უკვე გვიცავდნენ ჩვენი მეგობრები. სამეთვალყურეოდ გვერგო დუდაევის მიმართ ოპოზიციურად განწყობილი რაიონები: ნადტერეჩნი, სტაროპრომისლოვსკი, მე-15 მოსახვევი და კაზაკთა სოფლები. ჩვენ არჩევნების დასაწყისიდან დამთავრებამდე ვმოძრაობდით ამ პუნქტებს შორის, რათა საერთო სურათი გვენახა. არჩევნებამდე ჩვენ რამდენჯერმე გამოვედით ტელევიზიით და მიტინგებშიც ვიღებდით მონაწილეობას. საერთოდ მხიარული

გაგრძელება მე-10 გვ

# ვაი, ეშმაკის სამართალს

საქართველოს დედაქალაქი თბილისია, ხოლო თბილისში ერთ-ერთ ელიტარულ რაიონად ითვლება ვაკე. ამიტომ საჭიროა განსაკუთრებული სიფრთხილით და მოკრძალებით შეაღო ვაკის რაიონის სასამართლო. სხვაგან შეიძლება დარღვევა მოხდეს, აქ არ შეიძლება სამართლიანობა არ იყოს, უფრო მეტიც, სანიმუშო სამართლიანობა.

1996 წ. 6 ივნისს ვერთვები საქმეში.

პირველი შთაბეჭდილება: იკარგება ადვოკატის ორდერი, რომელიც ხელმოწერის ქვეშ ბარდება კანცელარიის თანამშრომელს.

მეორე შთაბეჭდილება: სამოქალაქო საქმის განხილვა ჩემამდე საკმაო სტაჟის მიუხედავად ჩემს შემდეგ გაგრძელდა ექვს თვეს - 9 დეკემბერს ვღირსეთ გადაწყვეტილებას.

მესამე შთაბეჭდილება: გადაწყვეტილების ხილვა და წაკითხვა აუცილებელ საქმეში შევძელი 20 იანვარს 1997 წ.

მეოთხე შთაბეჭდილება: სასამართლომ - კერძოდ, მოსამართლე გ.ბადაგაძემ ჩემი ადვოკატად მუშაობის მთელ მანძილზე მოხსნა უკანონობის და უსამართლობის ყველა რეკორდი, რაც პირადად მინახავს, ან რაც სხვისგან მომისმენია.

ჩემი სუბიექტური შთაბეჭდილებები, რომლებსაც აქვს მყარი რეალური და იურიდიული საფუძველი.

1. დოლარების 50%-ად გამპროცენტებელმა პიროვნებამ დაიბრუნა რა რეალური ვალი, პროცენტების და პროცენტის პროცენტობის მოთხოვნით, რადგან მოვალეს უშუალოდ არ გააჩნია საშუალება, მთლიანად დააპატიმრა ოჯახი. რამდენი წელია, მეფობს სამხედრო ფორმირებების წესრიგი, რაც დღემდე უმძიმეს ლაქად აწევს ჩვენს უახლოეს ისტორიას.

ა) დოლარის გამპროცენტებელს თვითმკვლელობამდე მიჰყავს მოვალის უდანაშაულო მამა, რომელმაც თავი მოიკლა 1993 წლის 17 ნოემბერს.

ბ) მოვალის დედას დოლარის გამპროცენტებელი, რომელსაც სთხოვენ, რომ ორმოცი მაინც გაიღოს, ცინიკურად უცხადებს, მე არ მაინტერესებს თქვენი ორმოცი და სამოცი და მოვალე და და მისი დედა მიჰყავს (სასამართლო გადაწყვეტილებით - ნებაყოფლობით, ჩვენი აზრით, ძალდატანებით) ნოტარიუსთან. 1993 წ. 30 დეკემბერს ბინა იყო მოვალის მოკლული მამის სახელზე. მისი გარდაცვალებიდან ექვს თვემდე კანონიმიერ სამემკვიდრეო მოწმობას ალებინებს მის ცოლს, ე.ი. მოვალის დედას. იმავე დღეს, 30 დეკემბერს, ნოტარიუსი ახორციელებს როგორც მემკვიდრეობის უფლების მოწმობის გაცემას, ასევე ბინის გაყიდვას მოვალის დედიდან დოლარების გამპროცენტებელზე. ფიზიკურად შეუძლებელია რამდენიმე საათში ბინის ახალ მესაკუთრეზე აღრიცხვა, ფორმა №1-ის შედგენა, ტექნიკურ ბიუროში გატარება, მაგრამ ეს ყველაფერი ხდება. ტექნიკური ბიურო იძლევა ერთსა და იმავე დღეს, 30 დეკემბერს, ერთი და იმავე ნომრით №-ქ-534 ორ ცნობა-დახასიათებას, ერთს მოვალის მამაზე, „რეზიკოზე", მეორეს, მოვალის დედაზე, „ლალიზე". ესე იგი ყველაფერი ხდება ელვის უსწრაფესად, რადგან დრო არ ითმენს და თუ გადაწყვეტილებას დაუჯერებთ, მემკვიდრეობის მიღების და ბინის გაყიდვის დროს წინასაახალწლოდ ქვრივი ქალი თავის ნება-სურვილს გამოხატავდა. როცა ქვრივი ქალი კი არა თვითონ ნება-სურვილს ვერ ახორციელებდნენ სახელმწიფო ნოტარიუსი და ბინების ტექნიკური აღრიცხვის ბიუროს თანამშრომლები. ისინი მზად იყვნენ ნებისმიერი უკანონობის ჩასადენად.

გ) 1993 წლის უკანონო ზემოქმედება ისეთი ძლიერი იყო, რომ მიუხედავად გარკვეული პოზიტიური ძვრებისა, მაინც თავისი გავლენის ქვეშ მოაქცია სასამართლო, კერძოდ მოსამ. გია ბადაგაძე. მართალია, პროცესი ერთი წელი იყო, მაგრამ მან შიშით ვერ შეძლო ჩაეხედა სანოტარო მოქმედებები (მემკვიდრეობის გადასვლა) ბინის ყიდვა-გაყიდვა (ვერ ჩაიხედა ბინების ტექაღრიცხვის დავთრებში), არაფრად ჩააგდო მოწმეთა ჩვენება, საქმეში არსებული მასალები. მისთვის მთავარი სიმართლის წყარო იყო დოლარის გამპროცენტებელი ახალგაზრდა კაცის განმარტება. ამიტომ მთელი გადაწყვეტილება აგებულია მხოლოდ მის ჩვენებაზე. სიფრთხილეს თავი არ სტკივა. ორი წლის წინ კაცი ყოვლისშემძლე იყო, ვინ იცის, რა დრო მოვიდეს. გადაწყვეტილებაში აღინიშნა, მყიდველსა და გამყიდველს შორის დოლარების სესხება-დაბრუნებაზე არავითარი მტკიცება არ არის საქმეში. თუმცა, მთელი საქმე ვალზე და პროცენტებზეა აგებული.

დ) სასამართლომ შესწორება შეიტანა სამოქალაქო სამართალში. საქმე იმაშია, რომ თვითმკვლელობამდე მიყვანილ მევალის მამას ჰყავდა სხვა შვილიც, კანონისმიერი მემკვიდრე გოგონა. სასამართლომ აღძრა აღნიშნული გოგონას სამემკვიდრეო უფლება სადავო ბინაზე, მაგრამ რადგან დოლარის გამპროცენტებელს სურდა ბინიდან ყველას გასახლება, კერძოდ, დედისა თავის შვილებიანად, წაართვა მემკვიდრეს ბინა.

გადაწყვეტილებაში აღინიშნა, თითქოსდა დედამ შვილის უჩუმრად გაყიდა ბინა. ე.ი. ლაპარაკია წყეულ 30 დეკემბრის ფაქტზე. ამიტომ შვილს დარჩეს უფლება დედას უდავოს. ეს ნამდვილად რეფორმაა სამოქალაქო სამართალში. ე.ი. მოქალაქემ უჩუმრად სხვისი ბინა რომ გაყიდოს, მყიდველს ხახვიეთ შერჩება და თუ მატყუარა გამყიდველი მყიდველისაგან ბინასთან ერთად სულ მთლად გატყავებულია, კანონიერ მესაკუთრეს ძველებური ბაზრული გამოთქმის თანახმად, ვირის თავ-ფეხი შეხვდება. სასამართლომ მარტო სამოქალაქო სამართალში კი არ შეიტანა შესწორება, არამედ არც ახალი კონსტიტუცია დაინდო, კერძოდ, მუხლი 21 „დაუშვებელია საკუთრების მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება".

მოკლედ, ელიტარული სასამართლო თავის სიმაღლეზეა, ვნახოთ, მომავალში როგორ რეფორმებს და სიახლეებს შემოგვთავაზებს.

ჯერი ახლა საქალაქო სასამართლოზეა, ხოლო შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლოზე, რაც მეეჭვება, რომ საჭირო გახდეს.

**თენგიზ ბექაშვილი**
ადვოკატი

# ნუგზარ ფოფხაძე:
# ჩვენ ახლა უნდა ჩავაქროთ შუქი, წავიდეთ სახლებში, დანარჩენი სამხედროების (!!!) საქმეაო!

მეორე გვერდიდან

მოსკოვიდან მოვლინებულ ორ გენერალს. სიდამონიძის დასკვნა: მოსკოველები სერიოზულად ემზადებიან, რაღაც მასშტაბურ ოპერაციას აპირებენო...

შევფიქრიანდი. ჩემი ეჭვები გავუზიარე იქ დამსწრეთ. ამ საუბარში ვართ და ისევ ტელეფონის ზარი-ელდარ გოგოლაძე, მაშინ ოქტომბრის რაიონის მილიციის უფროსი. ის უკვე აშკარად გამიზნულად მირეკავს და თავის ეჭვსა და შეშფოთებას მიზიარებს, მეუბნება, მოსკოველები სულ ანტისაბჭოურობას და ნაციონალიზმს აწვებიან და ისე გეგმავენ ყველაფერს, ეს ღამე ასე იოლად არ ჩაივლისო.

სიდამონიძე და გოგოლაძე პროფესიონალები არიან, სანდონი...

იყო სხვა ზარები...

ყველა ეს საუბარი ჩემს ოთახში მყოფი კოლეგების თანდასწრებით მიმდინარეობს. ჩვენ, რა თქმა უნდა, წარმოდგენა არ გვაქვს თავდაცვის საბჭოს სხდომაზე, არც ის ვიცით, რაც შემდეგ გაირკვა-მოლაპარაკება მოსკოვთან, ჯარების შემოსვლაც ჭორად ვიცით მხოლოდ. მაგრამ კოჩეტოვი რომ თბილისშია? ბიუროს სხდომებზე როდიონოვის გამოსვლა ვიცი, მოსკოველი ემისრების გუშინდელი და დღევანდელი მოწოლაც კარგად მახსოვს, დღევანდელ აქტივზე გეგმის ის დაწყვლილი პუნქტებიც ხომ მე წავიკითხე და... თანდათანობით ყველაფერი თავის ადგილზე დგება. ეჭვებს იქ მყოფთ ვუზიარებ და ჩემი შეშფოთება მათაც გადაედოთ. ჩერქეზიშვილს ველარ ვაჩერებ, კი მაგრამ, თუ რაღაცას აპირებენ, ჩვენ რატომ არ გვეუბნებიანო?..

მისგან და გურგენიძისგან შეგულიანებული, ყველას თანდასწრებით, ვურეკავ პატიაშვილს: ჩემს მიერ ახლახანს მიღებული ინფორმაცია აშკარად შემაშფოთებელია. მგონი, ამაღამ სერიოზულ ოპერაციას აპირებენ და ამის შესახებ ჩვენ არ ვიცითმეთქი. ან თქვენ გატყუებენ, ან თქვენ ჩვენ გვიმალავთ სიმართლეს. შეკრიბეთ ბიურო და დეტალურად მოგვახსენონ რა ხდება, რას აპირებენ-მეთქი...

პატიაშვილს ჩემი ტონალობა, ეტყობა, არ მოეწონა და გაღიზიანებული მეკითხება: ვინმე თუ გყავსო მანდ...

ახლა მას რომ ვუთხრა, განყოფილების გამგის ორი მოადგილე ისმენს ამ საუბარსმეთქი, ვიცი, რა რეაქციაც მოჰყვება სუბორდინაციული ეტიკეტის დარღვევას, ამიტომ გურგენიძისა და გულიევის იქ ყოფნა დავუმალე და, მარტო ჩერქეზიშვილია-მეთქი. არაფერიც არ ხდება, დამელოდე და თვითონ შეგეხმიანებიო.

ოც წუთში დარეკა და რუსულად, მშრალად, ოფიციალურად მეუბნება: Поднимитесь ко мне!

პატიაშვილმა რუსულად რომ მომმართა, გამეღიმა. რა გითხრა ასეთიო, მეკითხება გურგენიძე. რუსულად დამელაპარაკა, ნუთუ ვერ ხვდები რატომ? და იქ დამსწრეთ შევეხუმრე, ბიჭებო, „ხალიჩაზე" მიხმობენ, თუ არ დავბრუნდე, გმირულად დაღუპულად მიგულეთ-მეთქი.

გურგენიძემ და ჩემმა თანაშემწემ პირველი მდივნის მისაღებამდე მიმაცილეს. სამდივნოში იმ საღამოს გელა წიკლაური მორიგეობდა. პირდაპირ ვეკითხები, მეორე მდივანი დიდი ხანია შევიდა-მეთქი? ასე, 15-20 წუთი იქნებაო. წინათგრძნობას არ უღალატია, გურგენიძეს გავხედე და ახლა მისთვისაც გასაგები გახდა, თუ რატომ მომმართა პატიაშვილმა რუსულად, ასე ცივად და ოფიციალურად...

შევდივარ. სკამს არ მთავაზობენ. თვალებში შევხედე და... გავიფიქრე, ალბათ, ეს ჩვენი ბოლო შეხვედრაა...

–აი, ნუგზარს ისევ განსაკუთრებული პოზიცია აქვსო, ისევ რაღაც არ მოსწონს, ისევ სხვა რამ უნდაო–დაიწყო პატიაშვილმა.



დიალოგის სრულად გადმოცემა არ ღირს. 15-წუთიან მწვავე საუბარში, ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი გახლავთ მისი ფინალი..

ჩემს შეკითხვაზე, მე, ბიუროს წევრმა და ცკ-ს მდივანმა, რატომ არ უნდა ვიცოდე, თუ რას აპირებთ დღეს და რა მოგველის ხვალ... მიპასუხეს: პანიკიორი ხარ, აუცილებელი არ არის ყველამ(!) ყველაფერი(!) იცოდეს, ისედაც გადის ამბები ბიუროდანო; ჩვენ ახლა უნდა ჩავაქროთ შუქი, წავიდეთ სახლებში, დანარჩენი სამხედროების (!!!) საქმეაო! ამ პასუხის შემდეგ მე მათთან რაღა მესაქმებოდა და „სასამართლო" დამთავრდა ჩემი კატეგორიული განცხადებით: *შეუძლებელია არ გითხრათ, რომ დღეს ჩვენი დაღუპვის დღეა! მაგრამ წყალს წაუღია ჩვენი თავი, დღეს საქართველოსაც ღუპავთ-მეთქი...*

პატიაშვილს კი ვუთხარი: *ნუ უჯერებ მოსკოველებს, ეგენი გვღუპავენ, მათ რა ენაღვლებათ, დაადებენ თავს და ხვალ აქედან წავლენ, მე და შენ კი აქ დავრჩებით, ჩვენს ხალხთან, მას თვალებში უნდა ვუცქიროთ, მასთან უნდა ვიყოთ მართლები!. მე ჩემი გითხარი, დანარჩენი შენი საქმეამეთქი!*

...რა ვქნა ახლა, ვის მოვუხმო მოწმედ? ამ ფაქტს პატიაშვილი დამიდასტურებს?.. მაგრამ, ხომ არის ხალხი, რომელმაც ამ ამბის თავიც იცის და ბოლოც, საათი და წუთიც, ჩემი რეაქციაც მისაღებში, მაშინვე, პირველის კაბინეტიდან რომ გამოვედი, ხომ მოვუყევი უმალ რამდენიმე კაცს ეს ამბავი?..

...1989 წლის 19 მაისს, როცა მოსკოვის პირველი კომისია, რომელსაც ბელორუსიის მაშინდელი უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ტარაზევიჩი ხელმძღვანელობდა, თავის მუშაობას აჯამებდა, ცკ-ს ბიუროს წევრები, მთავრობის, დედაქალაქისა და ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელებიც შეგვკრიბეს. პატიაშვილიც მოიწვიეს. ამ შეკრების შესახებ, გუმბარიძის „პორტრეტთან" დაკავშირებით, მკითხველს უკვე ვუამბე. ახლა ჩემთან დაკავშირებული დეტალი მინდა გავიხსენო.

როცა ტარაზევიჩმა თქვა, კაცი არ აღმოჩნდა, პატიაშვილისთვის რომ ერჩია დაფიქრებულიყოო, მე რეპლიკა ვისროლე. როგორ არა, იყო-მეთქი და ზემოთქმული გავიხსენე. ტარაზევიჩმა მიპასუხა, პატიაშვილს ვკითხეთ და კატეგორიულად უარყო ეს შეხვედრაო. პატიაშვილს ჯერ გავხედე, შემდეგ ვკითხე, მართლა აღარ გახსოვთ ჩვენი ეს საუბარი-მეთქი? არაო, მაგის მსგავსი არც სატელეფონო საუბარი ყოფილა და არც შეხვედრაო!

მაშინ ავდექი და განვაცხადე: აქ, ამ დარბაზში ზის კაცი, რომელიც არათუ იმ სატელეფონო საუბრის მოწმეა, კიდევაც მიმაცილა მის კაბინეტამდე და გამოსვლის შემდეგაც არ მომცილებია. თუ სინდისიერება არსებობს, ის კაცი ახლა ფეხზე უნდა წამოდგეს-მეთქი...

...გვარი საგანგებოდ არ დავასახელე. ცხოვრება და კარიერა ისეთი რამ არის, რომ ძნელია კაცს შენი გულისთვის თავგანწირვა მოსთხოვო... და რა ბედნიერებაა, რომ იქვე, იმ წამსვე, გამოჩნდა: ყველა არ ყოფილა „გულმავიწყ" და უმადური, რომ არიან ადამიანები, რომლებსაც, უწინარესად, სიმართლე, ზნეობა და სინდისი მართავს.

...ვაჟა გურგენიძე წამოდგა და თქვა: ეს კაცი მე ვარო!..

ღმერთმა ააშენოს!

...როცა რამდენიმე წლის უნახაობის შემდეგ, პირველად შევხვდი პატიაშვილს და ერთ საერთო მეგობართან ერთად სასაუბროდ დავსხედით, სამი გასარკვევი „საკითხიდან" ერთი ეს იყო და ვკითხე: ერთ საუბარში ის გვიანი საღამოს შეხვედრა გაგიხსენებია და სინანულით გითქვამს, ნეტავ მაშინ დამეჯერებინა ფოფხაძისთვისო! რაც მითხრეს, თუ მართალია, ის მაინც ამიხსენი, მაშინ რატომ უარყოფდი-მეთქი ამ შეხვედრის ფაქტს?!

მაშინ ისეთ დღეში ვიყავი, ეგ რა გასაკვირია, მაგ ფაქტთან დაკავშირებითაც ვწუხვარო!

კეთილი და პატიოსანი.

*კაცური წესია: ასეთი საუბრის შემდეგ წყენას აღარ იხსენებენ. ახლობელ-მეგობრებმა კი არა, მთელმა დუნიამ იცის-ხმა ერთხელაც(!) არ ამომიღია. ასეც იქნებოდა სიცოცხლის ბოლომდე! ჩემს ტკივილს, დაუმსახურებელ იარლიყებს და შეურაცხყოფას საფლავში ჩავიტანდი, ოღონდ, ეკმარათ! მაგრამ განა ასეთი ბოდიშებისა და გულისტკივილის გამოთქმის შემდეგ, როცა შენივე თხოვნით შინაც გესტუმრებიან, ალალად დაგიდასტურებენ დარჩენილი წლების ერთმანეთისთვის წამოძახების გარეშე გატარების სურვილს, რა მაღალი პოსტისთვისაც უნდა იბრძოდე, კარიერისტული მიზნის მისაღწევად სულმა არ უნდა წაგძლიოს, ყველაფერი არ უნდა იკადრო და გაზეთ „საქართველოში" არ უნდა იწუწუნო. „შეთქმულება" მომიწყს „სხვისი გუნდის" წევრებმა; „მე ზუსტად კი არ ვიცი, მაგრამ, როგორც ლებედი(!) თავის*

გაგრძელება მე-8 გვ.

## შესაძლოა შეიარაღებული შეტაკებები გამოიწვიოს

საააგენტოს კორესპონდენტს საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან აცნობეს, რომ საქართველოში რფ–ის ელჩმა ფელიქს სტანევსკიმ, საქართველოს თავდაცვის მინისტრთან ვარდიკო ნადიბაიძესთან შეხვედრისას მთლიანობაში დადებითად შეაფასა ქართული მხარის მიერ მომზადებული გეგმა აფხაზეთში სამშვიდობო ოპერაციის შემდგომი განხორციელებისა. მან აღნიშნა, რომ აფხაზური მხარე კვლავინდებურად არაადექვატურად აღიქვამს და არ ეთანხმება წინადადებას გალის რაიონში ლტოლვილთა მასობრივი დაბრუნების და რფ–ის სამშვიდობო ძალებისათვის ფუნქციების გაზრდის თაობაზე. ამან, ფელიქს სტანევსკის თქმით, შეიძლება გამოიწვიოს ვითარების შემდგომი ესკალაცია იმ შემთხვევაში, თუ რფ–ის სამშვიდობო ძალებს მაინც გაეზრდებათ ფუნქციები აფხაზური მხარის თანხმობის გარეშე, რამაც შესაძლოა შეიარაღებული შეტაკებებიც კი გამოიწვიოს. (იბერია)

## მიღებულია გადაწყვეტილება ძირითად პრიორიტეტული მიმართულებების თაობაზე

უშიშროების სამინისტროს კოლეგიის გაფართოებულ სხდომაზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება 1997 წელს სამინისტროს მუშაობის ძირითად პრიორიტეტული მიმართულებების თაობაზე. უმთავრეს პრიორიტეტად აღიარებულ იქნა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. საქართველოს უშიშროების მინისტრმა შოთა კვირაიამ განაცხადა, რომ საქართველოს უშიშროების სამინისტროსა და შეიარაღებულ ძალებს ამჟამად გააჩნიათ ყველა საშუალება, რათა შეასრულონ საქართველოს პრეზიდენტისა და ხელისუფლების ნებისმიერი ბრძანება და დაიცვან ქვეყნის ინტერესები – აღადგინონ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. გარდა ამისა, უშიშროების სამინისტროს კიდევ ერთ პრიორიტეტად აღიარებულ იქნა ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ. უახლოეს მომავალში გატარებული იქნება ქმედითი ღონისძიებები იმ პირთა გამოსავლენად, რომლებიც ბოროტად იყენებენ თავიანთ თანამდებობებს. (იბერია)

## რფ-ის სამშვიდობო ძალების მძიმე მდგომარეობა

საააგენტოს კორესპონდენტს ზუგდიდის რაიონის გამგეობიდან აცნობეს, რომ აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში დისლოცირებული რფ–ის სამშვიდობო ძალებს აღარ მიეწოდებათ რუსეთიდან სათბობი. აგრეთვე არ გაიცემა ხელფასები ოფიცრებისათვის და რიგითი ჯარისკაცებისათვის. ამდენად, რფ–ის სამშვიდობო ძალების კონტინგენტის პირადი შემადგენლობა საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, რის შედეგადაც ჯარისკაცებმა უკონტროლოდ დაიწყეს ხეების ჭრა, ნადგურდება ნათესები. (იბერია)

## ცხინვალში არსებობს ნარკობაზარი

შს მინისტრის კ.თარგამაძის განცხადებით, ცხინვალის რეგიონში არსებობს ნარკობაზარი, სადაც მომხმარებელს განუსაზღვრელი რაოდენობით და დღის ნებისმიერ დროს შეუძლია ნარკოტიკის შეძენა. ძირითადი მომხმარებლები არიან ქართველი ახალგაზრდები. ნარკომანიასა და ნარკობიზნესთან ბრძოლის კომისიის სხდომაზე გამოითქვა აზრი – ცხინვალის რეგიონში დისლოცირებული რუსეთის სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელობას გაეგზავნოს შს მინისტრის მიმართვა, ნარკოტიკებით მოვაჭრე ხალხზე მკაცრი ზომების მისაღებად. (იფრინდა)

## XI კლასელებისა და აბიტურიენტებისათვის

## სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები

# მიხეილ ჯავახიშვილი

## ცხოვრება და მოღვაწეობა

ნოდარ გრიგალაშვილი

### ჯავახიშვილი – «ივერიის» რედაქტორი, გამგზავრება საზღვარგარეთ, ილიას მკვლელობა

ჯავახიშვილმა სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლისთანავე არნახული ენერგიულობა და შრომისმოყვარეობა გამოიჩინა. მისი პუბლიცისტური წერილები მკითხველთა განსაკუთრებულ მოწონებას იმსახურებდა. „ივერიის" რედაქციის მუშაკების თხოვნით 1904 წლიდან მიხეილი „ცნობის ფურცლიდან" „ივერიაში" გადადის, ცოტა ხნის შემდეგ „ივერიის" ფაქტიური რედაქტორიც გახდა. ასე რომ, იმ ყმაწვილს, რომელსაც ერთ დროს საგურამოში, ილიაობა დღეს დიდმა ილიამ გზა დაულოცა, ახლა უკვე თვით ილიას დაარსებული გაზეთის რედაქტორად ვხედავთ. უნდა ითქვას, რომ მიხეილი იყო ერთი იმათგანი, ვისაც არასოდეს განელებია ერის დიდი მოძღვრის სიყვარული და ყოველთვის ისეთივე მოწიწებით ახსენებდა მის სახელს, როგორც ბავშვობაში. მიხეილ ჯავახიშვილს სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა იმდაგვარი თაყვანისცემა ილიასადმი, როგორიც მორწმუნეს შეიძლება ჰქონდეს წმინდანისადმი.

1906 წელს ადამაშვილი გაზეთ „გლეხს" რედაქტორობს. მეტისმეტი გაბედულებისათვის ახალგაზრდა მწერალი პასუხისგებაში იქნა მიცემული. მეგობრების დახმარებით, კერძოდ კი ფილიპე გოგიჩაიშვილის თანადგომით, მიხეილი მოახერხებს საზღვარგარეთ გამგზავრებას და ამით სასჯელისაგან თავის დაღწევას.

მგზავრობისას მას ერთი კურიოზული ამბავი შემთხვევია. რაკი საკუთარი პასპორტით წასვლა სარისკო იყო, ვინმე მიხეილ ლობჟანიძის პასპორტით მიემგზავრება. მაგრამ დახეთ უბედურებას, საზღვარზე გადასვლისას, როდესაც პასპორტები გასინჯეს და მგზავრებს უკან უბრუნებდნენ, მიხეილს თავისი კეთილისმყოფელი ლობჟანიძის გვარი დავიწყებია. დავიღუპე, გაუელვა გონებაში, მაგრამ გაჭირვება რას არ მოაფიქრებინებს კაცს, მიხეილს ლუღლუღი დაუწყია ჟანდარმებთან, აქაოდა მუნჯი ვარო და განსაცდელს ასე გადარჩენია.

1906-1907 წლებში მწერალი ჟენევასა და პარიზში ცხოვრობს. ისმენს ლექციებს და ცდილობს სრულყოფილად დაეუფლოს ევროპულ კულტურას. წერს პუბლიცისტურ წერილებს, მოთხრობებს, რომელთაც სამშობლოში გზავნის.

1907 წლის მარტში მიხეილი კვლავ თბილისშია. ამჯერად სამსახურს იწყებს გაზეთ „ისრის" რედაქციაში. ეს ის რედაქციაა, რომელმაც პირველმა შეიტყო 1907 წლის 30 აგვისტოს მომხდარი ეროვნული ტრაგედიის შესახებ. საღამოს 8-9 საათზე რედაქციაში მოვიდა ცნობა ილია ჭავჭავაძის ყაჩაღურად მოკვლის შესახებ. „ისარში" გამოქვეყნებულმა ცნობამ თავზარი დასცა მთელ საქართველოს. ჯავახიშვილმა და საქართველოს პატრიოტებმა იგრძნეს, რომ სწორედ იმ დღეს, 30 აგვისტოს გადაწყვიტეს კაცობრიობის უბოროტესმა მტრებმა საქართველოს ბედისწერა. გაოგნებული მწერალი მეორე დღესვე საგურამოში აიჭრა, სადაც მისთვის ბავშვობიდანვე მშობლიური იყო ყველაფერი. ის ღამე იქ გაათია საშინელი და მტანჯველი ფიქრებით. „არასოდეს არ დამავიწყდება ის ღამე – იგონებდა მწერალი – სხვებმა დამასწრეს და ლოგინები დაარიგეს, დარჩა მხოლოდ ერთი ბალიში, ილიას სისხლით მოსვრილი ბალიში, რომელიც მოკვლის დროს ზურგის უკან ედო. ბევრი ყოყმანის შემდეგ ძლივს გავბედე: ის ბალიში კაკლის ქვეშ წყაროსთან დავდე, სადაც მრავალი დაუვიწყარი საათი მქონდა გატარებული, ზედ ცხვირსახოცი დავაფარე და ფსიქიურად დატანჯულმა მამლის ყივილისას ძლივს ჩავიძინე".

რა იცოდა მაშინ ილიას სისხლით გაელენთილ ბალიშზე თავმიდებულმა, მწარე ფიქრებით შეპყრობილმა მიხეილმა, რომ ზუსტად 30 წლის შემდეგ, სწორედ აგვისტოს თვეში, ის ხალხი იმსხვერპლებდა მასაც, რომელთაც ილია მოჰკლეს, იმ განსხვავებით, რომ თუ ილიას ბუჩქებს უკან ჩასაფრებულნი უგებდნენ მახეს, მიხეილ ჯავახიშვილს უკვე სახელმწიფო ხელისუფალთა სავარძელში გამოჭიმულნი დაემუქრებოდნენ და კანონისა და ხალხის სახელით აუგებდნენ ანდერძს.

### კვლავ იძულებითი ემიგრაციები. ჟურნალი «ერი». გაზეთი «საქართველო», საქართველოს დამოუკიდებლობა.

ილიას გარდაცვალებიდან მცირე ხნის შემდეგ ჯავახიშვილი იძულებულია კვლავ საზღვარგარეთ, საფრანგეთში გაემგზავროს. უკან ბრუნდება 1909 წელს და სათავეში უდგება ახლადგამოცემულ ჟურნალ „ერს".

1910 წელს, არც მეტი და არც ნაკლები, სამშობლოს სიყვარულისთვის დააპატიმრეს. მიუსაჯეს ერთი წლით ციხე და 5 წლით საქართველოდან გასახლება. პატიმრობის ვადა მეტეხის ციხეში მოიხადა, შემდეგ როსტოვში იქნა გასახლებული.

1912 წელს, გადასახლებაში მყოფმა მიხეილ ჯავახიშვილმა ჯვარი დაიწერა ვლადიკავკავში მცხოვრებ ივანე ჭავჭავაძის ქალიშვილზე. ლუბა (ასე ერქვა მწერლის მეუღლეს) და მიხეილი მცირე ხანს როსტოვსა და ვლადიკავკავში ცხოვრობდნენ. ერთი წლის შემდეგ კი არალეგალურად გადმოდიან თბილისში, სადაც მიხეილი ბინას დაიდებს ეკატერინე გაბაშვილის ოჯახში.

1914 წლის 3 ივნისს მშობლებს პირველი შვილი, – ქეთევანი შეეძინათ. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა გაჭირვებით უნდა ეცხოვრა ნახევრად არალეგალურ მდგომარეობაში მყოფ ოჯახს, მაგრამ სიყვარული ყოველ სატკივარსა და შევიწროებას სძლევდა. უნდა ითქვას, რომ ოჯახის შექმნის შემდეგ მიხეილის გონება წვრილმან საზრუნავში არ ჩაფლულა. მისი ნიჭის თაყვანისმცემელი მეუღლე ყოველმხრივ ხელს უწყობდა, რომ თავის ძირითად საქმიანობას, სანუკვარ მიზანს არ მოსწყდომოდა. მიხეილის მიზანი კი თანამგრძნობ პატრიოტებთან ერთად ილიას ანდერძის აღსრულება – სამშობლოს განთავისუფლება იყო. და აი, 1915 წელს რადიკალურად განწყობილმა ეროვნულ მოღვაწეთა ახალგაზრდების ჯგუფმა გამოსცა იმ დროისათვის ყველაზე მძაფრი, თავისუფლების ზარების დამარისხებელი, გაზეთი „საქართველო", რომლის ფაქტიური რედაქტორი იყო ადამაშვილი. (ოფიციალური რედაქტორობის უფლება მას სასამართლოსაგან აყრილი ჰქონდა). კვლავ გაიხსენეს ადამაშვილი იქ, სადაც ჯერ არს. და კავკასიის სამხედრო ოლქის უფროსმა, გენერალმა ვოლსკიმ „ურჩია", კავკასიას გაშორებოდა. იძულებული გახდა ლიტერატურულ საქმიანობას ჩამოშორებოდა და სამსახურს იწყებს წითელი ჯვრის საზოგადოებაში. 1916 წლიდან წითელი ჯვრის საზოგადოების ხაზით მიხეილი სპარსეთ-ოსმალეთის ფრონტზე გაემგზავრა და მთელი წელიწადი სპარსეთში დაჰყო.

ამ მშრალი ფაქტებისა და თარიღების უკან სისხლსავსე ცხოვრება იგულისხმება, სიხარულიანიც, მწუხარეც, შემთხვევებით, ფათერაკებით სავსე ცხოვრება, რომლის შესახებაც მკითხველს დაწვრილებით შეუძლია შეიტყოს ქეთევან ჯავახიშვილის ზემოთნახსენები წიგნიდან.

სამშობლოში მიხეილი 1917 წელს ბრუნდება. ამ წელს არსდება საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. ამ პარტიის წევრები და მათ შორის მიხეილი, დაუცხრომლად იბრძვიან საქართველოს თავისუფლებისათვის. და, აი, 1918 წლის 26 მაისიც. მეფისნაცვლის ყოფილი სასახლის თავზე საქართველოს ეროვნული დროშა აფრიალდა. 117 წლის შემდეგ ერმა მოიპოვა ნანატრი თავისუფლება. მიხეილს თავისუფლების მზის ამონათებისათვის ბრძოლაში ლომის წილი ედო, მაგრამ კვლავ ბედის ირონია. საქართველოს მთავრობა ფაქტიურად სოციალ-დემოკრატებმა (მენშევიკებმა) შეადგინეს, იმ ხალხმა, ვინც თავის დროზე სწორედ საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის ჩასაკლავად იბრძოდნენ. ჯავახიშვილი და მისი მეგობრები ამჯერადაც ოპოზიციის კუთხეში იქნენ მიგდებულნი. პარლამენტში, როგორც ითქვა, უმრავლესობას სოციალიზმის მქადაგებელი სოციალ-დემოკრატები წარმოადგენდნენ, რომლებისაც ჯავახიშვილს არაფერი სწამდა. ერთგან მას ჩაუწერია: „სოციალიზმის იდეამ განუზომელი ზარალი მოუტანა საქართველოს და შემდეგშიც უკიდურეს ხიფათს უქადის".

პარლამენტში გარკვეულ ძალას წარმოადგენდნენ ფედერალისტებიც, რომელთა პარტიის წევრიც იყო ჯავახიშვილი 1906-1907 წლებში.

აღარც ამ პარტიასთან ჰქონდა მწერალს გულითადი ურთიერთობა. „1907 წელს ფედერალისტების პარტიიდან გავედი ოთხი მიზეზის გამო, – წერს მწერალი –

1) პარტიამ გამიჯვნის ეთნოგრაფიული პრინციპი აღიარა, ე.ი. რამდენიმე მაზრას სომხებს უთმობდა;

2) პარტიაში მრავალი ანარქისტი შემოუშვა;

3) სოციალიზმის არა მწამდა და

4) ილია ჭავჭავაძის მკვლელს, სოციალ-დემოკრატიას პასუხისმგებლობა მოხსნა".

ასე რომ, მხოლოდ ეროვნულ-დემოკრატებს, რომელთა პარტიის წევრიც მიხეილი იმჟამად იყო, შეეძლოთ ერის ინტერესების შესაბამისად მომსახურებოდნენ თავისუფალ საქართველოს, მაგრამ მათი რიცხვი პარლამენტში ერთობ მოკრძალებული იყო და ამიტომაც, როგორც ვთქვი, ბედმა ჯავახიშვილი და მისი მეგობრები ოპოზიციის კუთხეში მიაგდო.

მენშევიკურ მთავრობასთან დაკავშირებით მიხეილს ჩაუწერია: „ფიცი – ამ მთავრობასთან არ ვიმსახურებ-მეთქი"– „არ ვენდობი მენშევიკებს, ეს არის ჩემი გზა". მაგრამ რაკი თავისუფალ საქართველოს ელირსნენ, განზე მაინც არავინ გამდგარა. ჯავახიშვილი სხვადასხვა დაწესებულებებში მსახურობდა, კალამი გვერდზე გადადო და ქვეყნის ეკონომიკურ მოღონიერებას უწყობდა ხელს. თუმცა მალე შეწყდა 117 წლის შემდეგ აღდგენილი საქართველოს სახელმწიფოებრიობის არსებობა. 1921 წლის 25 თებერვალს ქართველი ერი კვლავ დაპყრობილი აღმოჩნდა ბოლშევიკური რუსეთის მიერ.

**გაგრძელება იქნება**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველო" №12,13

# „სითბო და მშვიდობა ბავშვებს"

*უდედმამო და უპატრონო ბავშვებს ქველმოქმედნი ლუკმას თუ მიაწვდიან, კარგია. ან როგორ იქნება ცუდი, როცა უპატრონო ბავშვთა სახლებში კალორიების მოპარვის მიღებული „ნორმა" ტრადიციულად 70% უდრიდა! რჩებოდა 30%. ახლა ვინ იცის, რამდენს მიაღწია მან „თავისუფალი ეკონომიკის" პირობებში, მაგრამ ადამიანი მარტო პურით როდი ცოცხლობს. ეგებ იმ უბედურ ბავშვებს ლუკმის გარდა სხვა, უფრო „ელიტარული" ხასიათის ზრუნვაც ესაჭიროებათ, რათა დაეიცვათ ისინი იმ სულიერი ტრავმისაგან, რომელსაც მუდამ გაჭირვებულსა და საპატრონო მდგომარეობაში ყოფნა იწვევს.*

*ბატონმა გოჩა გიორგაძემ, ასოციაცია „ძმობის" ხელმძღვანელმა, სპეციალობით გეოლოგმა, მოიფიქრა უპატრონო ბავშვთა სახლების აღსაზრდელებისათვის ისეთი ღონისძიება, რომელიც ყველაზე კეთილდღეიანი ოჯახის შვილებსაც შეჰნატრდებათ. დიახ, ესაა მათი გემით მოგზაურობა ხმელთაშუა ზღვის აუზში – ამ ისტორიითა და ხელოვნებით უმდიდრეს მხარეში, რითაც ბავშვი გონებრივად იზრდება, ვითარდება, მრავალი ქვეყნის მოსახლეობასთან ურთიერთობას სწავლობს. ჩვენმა კორესპონდენტებმა რამდენიმე კითხვით მიმართა მას.*

– ბატონო გოჩა, როგორ დაიბადა ეს აზრი?

– ბავშვებთან პრაქტიკულმა ურთიერთობამ მიმიყვანა. მას შემდეგ, რაც აფხაზეთში ჩემი გეოლოგიური სამუშაო შეწყდა, ვემსახურები ბავშვების სპორტულ აღზრდას. ჩვენი ასოციაციის მიზნებიდან გამომდინარე, ურთიერთობა გვაქვს მატერიალურად ხელმოკლე ოჯახის შვილებთან და უდედმამო ბავშვებთანაც.

– ყველაზე მწვავე კითხვა: ვინ გაიღებს ხარჯებს?

– ხარჯებს გაიღებენ სპონსორები საქართველოდან და იმ ქვეყნებიდან, რომელთათვისაც ხმელთაშუა ზღვაზე გასვლის კარი საქართველოა. აგრეთვე ფირმები, რომელთაც თავისი ტანსაცმლის და სხვა ანალოგიური ნაწარმის რეკლამირება ეხდომებათ ბავშვების მეშვეობით.

– ამ საქმეში, თქვენ რომ წამოგიწყიათ, მთავარია პედაგოგიკა. რას იტყვით თქვენი წამოწყების ამ მხარეზე?

– საქართველოს პედაგოგთა და ფსიქოლოგთა უძლიერესი სპეციალისტები ჰყავს. ყველა ეტაპზე პროგრამის შედგენის ჩათვლით, მათი მონაწილეობა არსებითია, მით უმეტეს, რომ ქართველი ბავშვების გარდა სხვა ქვეყნების ბავშვებიც იქნებიან. აგრეთვე სპეციალისტები მიიღებენ მონაწილეობას კულტურული პროგრამის განხორციელებაში.

– თქვენი დევიზია „სითბო და მშვიდობა ბავშვებს". ეს ჯერ, ასე ვთქვათ, გაუცვეთავი ახალი ლოზუნგია.

– დიახ, „სითბო" ახალია, „მშვიდობა" – ძველი. მაგრამ სითბოს გარდა ბავშვები ბევრ სხვა რამესაც მიიღებენ. უპირველეს ყოვლისა – ცოდნას, განათლებას. გარდა ამისა, სავარაუდოდ შესაძლოა „ხალხური დიპლომატიის" მიმართულებითაც შეძლონ მცირე ამოცანის შესრულება, თუ გავითვალისწინებთ, რომ კონფლიქტურ რეგიონში ეწყობა ღონისძიება.

– გისურვებთ წარმატებას.

– გმადლობთ.

მაია დათიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კაპადოკიიდან

გაავეცანით გერმანულ ენაზე თურქეთში გამოცემულ წიგნს – „კაბადოკია“. მასში მიმოხილულია დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე არსებული უძველესი ცივილიზებული ქვეყნის ისტორია.

კაბადოკიის ქალაქებისა და სოფლების დახასიათებისას, მოტანილია ძვირფასი ილუსტრაციები, რომელთაგან რამდენიმეს აქვე ვაქვეყნებთ.

ავტორი გვაუწყებს, რომ შუა ანატოლიაში მდებარე ტერიტორიას, რომელიც გადაჭიმულია შავ ზღვამდე, დასავლეთით მარილის ტბამდე, ხოლო აღმოსავლეთით მდინარე ევფრატამდე, ეწოდებოდა „კაბადოკია“. დღეისათვის ეს ზღაპრული მხარე, ათასეული წლების წინათ, ვულკანური ამოფრქვევით, ლავის მასებისაგან შექმნილი ქვის სხვადასხვა „ნაგებობადაა“ ქცეული. საოცრებად გეჩვენება აქ ალმართული ტუფის „ციხე-სიმაგრენი“ და მიწისქვეშა შენობები. არქეოლოგიურმა გათხრებმა ნათელჰყვეს, რომ აქ, სამიათასი წლით ადრე ქრისტეს დაბადებამდე, უცხოვრიათ კულტურულ და მეომარ ხალხებს, რომლებიც შემდეგ ფრიგიელთა სუვერენობაში ყოფილან, მოგვიანებით, – ლიდიელთა და სპარსთა ხელში მოქცეულან, მომდევნო საუკუნეებში, – სელჯუკების, მამლუკების, ბიზანტიელთა ბატონობის ქვეშ ყოფილან, ხოლო 1399 წლიდან საბოლოოდ „შეუერთებია“ ოსმანთა იმპერიას (ისე, როგორც ჩვენ „შევუერთდით“ ერთმორწმუნე რუსეთს 1801 წელს).

ახალი წელთაღრიცხვით მეორე საუკუნიდან აქ თავი შეუფარებიათ დევნილ ანატოლიის ქრისტიანებს, რომლებიც შემდგომში ადგილობრივ მაცხოვრებლებთან ერთად, აგებდნენ მიწისქვეშა სადგომებს, ეკლესიებს. თავიანთი ბრწყინვალებაში ეს ძეგლები გამოირჩევიან როგორც არქიტექტურით, ისე ფრესკებითა და ჩუქურთმებით.

ამ წიგნში შედარებით ვრცლადაა აღწერილი მიწისქვეშა და მიწისზედა ქალაქები და სოფლები, ამჟამინდელ ადგილობრივ მკვიდრთა ყოფა-ცხოვრება, მათი ძველისძველი ტრადიციული საქმიანობანი, ადათ-ჩვევები. დავიწყებული არაა თანამედროვე ცხოვრებაც.

ამჟამად ეს ქალაქები, სოფლები და ნაგებობანი, უმეტესწილად, თურქული სახელებით მოიხსენებიან.

მკითხველთა (ტურისტთა) კიდევ უფრო დასაინტერესებლად, ისტორიული ძეგლების განხილვისას, ავტორი მიუთითებს თითოეული ეკლესიის გადაკეთება-„გამშვენიერების“ ფაქტებზეც. მაგალითად, ქალაქ დერინკუეში (ღრმა ჭა) არსებული ორი ეკლესიიდან ერთი გადაუკეთებიათ მეჩეთად, მეორე კი – წისქვილად...

ეცნობით ამ საინტერესო სამყაროს და თვალწინ გესახებათ სამშობლოსათვის, სარწმუნოებისათვის თავდადებულნი, რომელნიც ქრისტიანთა დევნის ეპოქაშიც, წამებისა და მხეცური სისასტიკის მიუხედავად, ხელს არ იღებდნენ თავიანთ წეს-ჩვეულებებზე, ქმნიდნენ მიუვალ ადგილებში თავშესაფრებს, აგებდნენ ტაძრებს, მიწისქვეშა „სასახლეებს“, – ციხე-სიმაგრეებს, თავშესაფარ-სამალავებს. ასე იყო ჩვენთანაც, საქართველოს ყველა კუთხეში (მარტო გარეჯის უდაბნოს, ვანის 6 სართულიან კლდეში გამოკვეთილი მონასტრის, ვარძიის დასახელებაც საკმარისია). კაბადოკიაში, სანამ საბოლოოდ თურქები დაიპყრობდნენ, კვლავ შენდებოდა ეკლესია-მონასტრები... სწორედ მაშინ ააგეს კაბადოკიელთა მემკვიდრე ქართველებმა იშხანი, ოშკი, ხახული, პარხალი, ოთხთა ეკლესია და სხვა მრავალი. აქვე აარსებდნენ სამონასტრო სკოლებს. ქრისტიანული მოძღვრების პარალელურად ასწავლიდნენ ჩუქურთმა-ორნამენტის კეთებას, ხატწერას – ბიბლიისა და სახარების თემებზე. ქართველთა ამ სავანეებში მოხატული შედევრები დღესაც დიდ ინტერესს იწვევენ...




კითხულობთ, ძირითადად, ტურისტებისათვის გამიზნულ ამ წიგნს და რა გულდასაწყვეტია, როცა აქ არცერთი სიტყვაა თქმული ქართველებზე, – კაბადოკიის მფლობელებზე, ფრიგიელთა და მოსინიკების იგივეობაზე, მათ მიერ აგებულ ეკლესია-მონასტრებზე, დღეისათვის მილიონობით იქ მაცხოვრებელ მოსახლეობაზე, რომელთა ნაწილს ძველი მესხური ქართული ტრადიციების და ადათ-ჩვევების გარდა, შემორჩენილი აქვს მშობლიური ენაც.

დღეისათვის მეცნიერებაში აღიარებულია კაბადოკიელთა ქართველური წარმომავლობა და მათი დიდი წვლილი მსოფლიო კულტურის საგანძურში.

ასურული ქრონიკები და შემდგომი პერიოდის წერილობითი წყაროები – ჰომეროსი, ჰეროდოტე, ფსევდო-სკილაქსი, ფსევდო-სკიმნი, ლიკოფრონის სქოლიასტი, პომპონიუს მელა, სტრაბონი, უსახელო პერიპლუსი, მომდევნო საუკუნეების მემატიანენი და მკვლევარები გვაუწყებენ, რომ ქართველები, კავკასიის გარდა, ცხოვრობდნენ მცირე აზიაში, – კაბადოკიაში და რომ ეს რეგიონი ყოველთვის წარმოადგენდა ქართველი ტომების ადგილსამყოფელს. თუმცა, შემდგომ პერიოდში, ისტორიული მოვლენების წყალობით, ისე, როგორც დღევანდელ საქართველოში, უმცირესობის სახით, აქაც გაჩნდნენ არამკვიდრი ხალხების წარმომადგენლები (ბერძნები, ასურელები, სომხები და სხვ.).

საქართველოს მოსაზღვრე მცირე აზიის კაბადოკიელ ქართველთა შორის ქრისტიანობა იქადაგა ანდრია მოციქულის ძმამ სიმონმა (პეტრემ). სიმონ-პეტრეს სახელთანაა აგრეთვე დაკავშირებული ქრისტიანობის გავრცელება რომსა და ანტიოქიაში.

„კაბადოკია“, რომელიც გეოგრაფიული ცნებაა და არა ეთნიკური, მიანიშნებს იმ ტერიტორიას, სადაც ამ სახელის შერქმევამდე (სანამ აქ ასურელი და ბერძენი კოლონისტები გამოჩნდებოდნენ) ათეული საუკუნეებით ადრე სახლობდნენ ქართველთა მონათესავე ტომები. ეს იყო მოსხთა (მესხთა) მკვიდრი ადგილსამყოფელი. იგი, როგორც ქართული სამყარო, ძვ.წ. მეთერთმეტე საუკუნემდე ისეთ ძლიერ ქვეყანას წარმოადგენდა, რომ მისი დამარცხება ვერ შეძლო თვით ასურეთის ვერც ერთმა მეფემ.

მესხები ჯერ კიდევ XIII ს. ძვ.წ. ეომებიან ასურელებს, 1170 წ. თავს ესხმიან ზემო ევფრატის მარცხენა ნაპირებს, ხშირი ბრძოლები აქვთ ასურეთის ძლიერი მეფის ტეგლატპალასარის მიმართ სწორედ ამ ბრძოლებზე გვაუწყებს ასურეთის ძლიერების დამაარსებელი მეფე ტეგლატი, რომ მან დაამარცხა მესხთა ხუთი მეფე, რომლებიც მანამდე არავის ჰყავდა დამარცხებული. უცხოური წერილობითი წყაროები შემდგომშიც აგვიწერენ მესხების ბრძოლას ასურელებთან. ისინი ურარტუსაც ეხმარებოდნენ ასურეთის წინააღმდეგ. მესხები მდიდარი ხალხია, – მოგვითხრობენ დოკუმენტები, აქვთ ქალაქები, იციან ღვინის დაყენება, ბევრი ჰყავთ შინაური საქონელი, გაწვრთნილნი არიან მადნეულობის დამუშავებაში და კარგად არიან დაუფლებული ჭურჭლისა და იარაღის კეთებას (იხ. „საქართველოს ისტორიის



ნარკვევები“ I, 1970, გვ. 362–374).

შემდეგ, ჩვენს წელთაღრიცხვამდე V საუკუნეში, კაბადოკიის ტერიტორიაზე ქართველ ტომებს – ხალიბებს, მოსხებს, ტიბარენებს, მაკრონებს მოიხსენიებს „ისტორიის მამა“ ჰეროდოტე (484–425) მისი ცნობებით ცხადად ჩანს, რომ ძვ.წ. V საუკუნეში მოსხები, ტიბარენები, კოლხები და დანარჩენი ქართველი ტომები შავი ზღვის ნაპირას და ზღვის სამხრეთით ბინადრობდნენ. ხოლო 400 წელს, ქსენოფონტეს ვრცელი ცნობებით, ქართველი ტომები გაცილებით უფრო ჩრდილოეთით ცხოვრობენ. მაგალითად, ტიბარენები, რომელთაც ტაბალას სახელით კილიკიის ჩრდილოეთით ჰქონდათ ბინა და მცირე აზიის შუაგული ეკავათ, IV საუკუნეში შედარებით ჩრდილოეთით, შავი ზღვის ნაპირებზე ცხოვრობდნენ (იმ ადგილებში, სადაც შემდეგდროინდელი ძველი მესხეთი მდებარეობდა). რაც შეეხება კოლხებს, ქსენოფონტე პირველი მწერალია, რომლის ცნობათაგან უშუალოდ ირკვევა, რომ კოლხების ქვეყანა ფაზისის (რიონის) აუზის გარდა, წინააღმდეგ ანტიკური, საისტორიო ტრადიციაში გაბატონებული აზრისა, შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზედაც, – ტრაპიზუნტ-კერასუნტის მხარეშიც ვრცელდებოდა (თეიმურაზ მიქელაძე, ქსენოფონტეს „ანაბასისი“, თბ., 1967 წ., გვ. 49–52).

ხოლო სტრაბონის ცნობით, შავი ზღვის სანაპირო, რომელიც ისტორიაში კაბადოკიისა და პონტოს სახელით არის ცნობილი, ერთ მთლიან სამყაროს წარმოადგენდა როგორც სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრებით, ისე კულტურულ-რელიგიური თვალსაზრისითაც. აქ ცხოვრობდნენ ქართველები (მესხები), რომლებიც მხარში edგნენ შავიზღვისპირეთის ქართველ ტომებს, კერძოდ, კოლხებს, მოსინიკებს (ძლიერ ქართველ ტომს პონტოს მთიანეთში), მრავალრიცხოვან და მძლავრ ჭანებს – მეგრელთა (ქართველთა) მოდგმას, ხალიბებს – „პონტოს ხალიბებს“, რომლებიც მოსახლეობდნენ მდ.ჰალისის მიდამოებში (სტრაბონი, XII, I, 4).

არაფერს ვიტყვით ამ მხარის ქართველთა დამსახურებაზე მსოფლიოს წინაშე, მათ მატერიალურ და სულიერ კულტურაზე, რომელმაც (განსაკუთრებით მეტალურგიაში) უდიდესი გავლენა მოახდინა მეზობელ ქვეყნებზე; მათ მეომრულ დიდებაზე, რომლის შესახებ გვანიშნებენ უძველესი



# ნიკოფსიამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა



ანტიკური და მომდევნო ხანის წერილობითი ძეგლები; მათ საავაჭრო ურთიერთობაზე... და არც მსოფლიოში განთქმულ მათ ცხენებზე. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ კაბადოკიის ტერიტორიაზე არსებულ ქართველ ტომთაგან წარმოიშვა პონტოს სამეფო, - როგორც სტრაბონი წერს, კაბადოკიისაგან (ეს სახელი სპარსელებმა შეარქვეს ძვ.წ.VI საუკუნეში აქ მცხოვრებ აბორიგენ ქართველებს - მესხებს, ვ.გ.) მაკედონელებმა შექმნეს სამეფოები... ერთ ნაწილს „საკუთრივ კაბადოკია", აგრეთვე „დიდი კაბადოკია", მეორეს პონტო, ანუ „პონტოს კაბადოკია" უწოდეს (სტრაბონის გეოგრაფია, XII, 1,4).

საინტერესო ცნობებია მოცემული კაბადოკიელ ქართველთა შესახებ არიანესთან (95-175), ნაშრომში - „მოგზაურობა პონტოს ზღვაზე". იგი მოიხილავს ხალიბების, ტაოხების, მოსინიკების, მაკრონების, ტიბარენებისა და სხვა ქართველი ტომების მიწა-წყალს და მათ საქმიანობას (ს.ყაუხჩიშვილი, „რას მოგვითხრობენ ძველი ბერძნები საქართველოს შესახებ", თბ., 1964, გვ. 19).

გამოჩენილი ქართველი მეცნიერი პროფ.გიორგი გოზალიშვილი, რომელმაც საფუძვლიანად შეისწავლა კაბადოკიელთა ტომების ისტორია, წერს, რომ ხეთების სამეფოს (კაბადოკია წარმოადგენდა ამ სახელმწიფოს ძირითად ბირთვს) განადგურებისა და მერე ქაშქების გაერთიანების დაცემა-დაშლის შემდეგ, მცირე აზიაში, კერძოდ, კაბადოკიის ტერიტორიაზე, წინაურდებიან ახალი ტომობრივი გაერთიანებანი (მუშქები, ტაბალები, მერე ხალიბები), რომლებიც, როგორც ამჟამადაა აღიარებული, ამ გეოგრაფიულ არეში ოდითგანვე ცხოვრობდნენ. დადასტურებულია, რომ ხსენებული ტომები შეადგენდნენ კაბადოკიად წოდებული ტერიტორიის უძველეს მოსახლეობას და რომ ისინი არიან თანამედროვე ქართველთა უშუალო წინაპრები (გ.გოზალიშვილი, „მითრიდატე პონტოელი", თბ., 1969, მეორე გამოცემა - 1975; მისივე, „ორი ეტიუდი პონტოსა და კაბადოკიის წარსულიდან", თბ., 1965; მისივე, კვლავ „სამი დიდი კაბადოკიელის" ვინაობის ირგვლივ, ჟურნალი „მნათობი", 1971, №6; მისივე, პონტოს სამეფოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის საკითხისათვის, მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე", №3, 1980).

ამ ისტორიული სინამდვილის ნათელსაყოფად პროფ. გ.გოზალიშვილს გამოყენებული აქვს დღეისათვის ხელმისაწვდომი თითქმის ყველა წერილობითი პირველწყარო და პონტო-კაბადოკიაზე არსებული სამეცნიერო ლიტერატურა. შენიშვნა: - ერთი საუკუნის წინ ქართველ მეცნიერთაგან კაბადოკიელებს სპეციალური ნაშრომი უძღვნა პროფ.დ.ჩუბინაშვილმა „ეტნოგრაფიული განხილვა ძველთა და ახალთა კაბადოკიის ან ჭანეთის მკვიდრთა მოსახლეთა" (გაზ. „ივერია", 1877 წლის №14, 15, 16, 17), სადაც ენობრივ, გეოგრაფიულ სახელწოდებათა, ეთნოგრაფიულ და რელიგიურ მსგავსებათა საფუძველზე მიუთითებს როგორც კაბადოკიაში მცხოვრებთა, ისე წმინდა გიორგის, წმინდა ნინოს და ცამეტ წმინდა მამათა ქართველობაზე.

გ.გოზალიშვილი, აჯამებს რა როგორც ანტიკური, ისე მომდევნო პერიოდის კვლევის შედეგებს კაბადოკიელთა შესახებ, დაასკვნის, რომ ისტორიის მთელ მანძილზე ეთნოგრაფიული ტერმინი კაბადოკიელები ქართველთა (მესხთა) აღმნიშვნელად იხმარებოდა და, მაშასადამე, რაც ჩვენამდე მოღწეულ წერილობით წყაროებში ცნობებია კაბადოკიასა და კაბადოკიელებზე, ძირითადად მიჩნეული უნდა იქნეს ქართულ-მესხურ სამყაროსადმი კუთვნილად. როგორც აღვნიშნეთ, დღევანდლამდე თურქეთში კაბადოკიელ ქართველ ტომთა დიდ ნაწილს, მიუხედავად მძლავრი ასიმილაციისა, შემორჩენილი აქვს უძველესი ქართული ტრადიციები, საოჯახო და სამეურნეო ადათ-ჩვევები, ნაწილს კი მშობლიური ენაც.



ქართველთა (მესხთა) ამ მხარემ, - კაბადოკიამ (სადაც ძველად, წერილობითი წყაროებით, არ იხსენიებიან სხვა ხალხები, გარდა მესხებისა, ტაბალებისა, ხალიბებისა და ქართველთა სხვა მონათესავე ტომებისა) მსოფლიოს მისცა ალბათ იმდენი გამოჩენილი პირი, რამდენიც არ მიუცია იმდროინდელი ცივილიზებული სამყაროს არც ერთ ქვეყანას, განსაკუთრებით ითქმის ქრისტიან მოღვაწეებზე. „თუ სხვა ქვეყნებს შეუძლიათ იამაყონ იმით, რომ მათი წიაღიდან გამოსული არიან საქვეყნოდ ცნობილი ადამიანები: ათანასე ეგვიპტიდან, იოანე ოქროპირი - სირიიდან, ამბროსი - იტალიიდან, ავგუსტინე - აფრიკიდან, „კაბადოკიის ცაზე (პროფ.გ.გოზალიშვილს მოყავს ციტატი ბერძენ ლებიდის მიერ დაწერილი წიგნიდან „კაბადოკიის საეკლესიო ისტორია", გვ. 37) ბრწყინავს შვიდი მთიები: ფირმილიანოსი, გრიგოლ თავმატურგი, ლეონტი, ბასილი, ორივე გრიგოლი და ამფილოქე იკონიელი" (გ.გოზალიშვილი, „კვლავ სამი დიდი კაბადოკიელის ირგვლივ", ჟურ. „მნათობი", 1971, №6, გვ. 103).

ეს გასაკვირი არ უნდა იყოს, რადგან იმდროინდელი კაბადოკიის დედაქალაქი კესარია (ძველი მაძაკა) წარმოადგენდა მცირე აზიის ერთ-ერთ ყველაზე ბრწყინვალე და დიდი კულტურის ცენტრს, ქრისტიანულ-საეკლესიო უმთავრეს ეპარქიას. ისე როგორც საქართველოში, - კოლხეთის ფაზისში (ფოთი), აქაც, - კესარიაში არსებობდა უმაღლესი რიტორიკული სკოლა, სადაც, მსოფლიო მნიშვნელობის მრავალმა გამოჩენილმა მოღვაწემ მიიღო განათლება. ისე, როგორც ფოთის სკოლაში გაიწვრთნენ და განათლება მიიღეს ბიზანტიელმა რიტორმა და ფილოსოფოსმა თემისტიოსმა და მისმა მამამ ევგენიოსმა. ასე რომ, ეთნიკურად ქართულ სამყაროში იმ პერიოდისათვის ორი უმაღლესი სკოლის არსებობა ქართველი ხალხის დიდ კულტურულ წარსულზე მიუთითებს (იხ. გ.გოზალიშვილი, „სამი კაბადოკიელის ვინაობის ირგვლივ"; მიხ.კახიძე, მასალები საქართველოს და ამიერკავკასიის ისტორიისათვის, კრებული, 1946, II). ამიტომ გასაკვირი არაა ქართველთა მოდგმის ხალხთაგან არც სამი დიდი კაბადოკიელი ქართველის, ქრისტიანობის განმტკიცებისათვის უდიდესი მებრძოლის, ლიტერატურისა და ფილოსოფიის გამოჩენილი მოღვაწეების, - ბასილ დიდი კესარიელის - ეკლესიის მსოფლიო მოძღვრის (VI საუკუნის ცნობილი ფილოსოფოსის ლიბანიოსის შეფასებით ყველაფრის მცოდნე ჰომეროსი, პლატონი, არისტოტელე), არც გრიგოლ ნაზიანზელის, 381 წლის კონსტანტინოპოლის მსოფლიო საეკლესიო კრების ხელმძღვანელის და ამავე ფორუმზე არჩეული მსოფლიო პატრიარქის, არც ბასილ დიდის ძმის - გრიგოლ ნოსელის, - „ბუნების მკვლევარის", 381 წლიდან „ეკლესიის საერთო ბურჯის", მცირე აზიის ეკლესიათა საქმეების გამგებლის (მართლმადიდებელი ეკლესიის უდიდესი ავტორიტეტის), არც წმინდა გიორგი კაბადოკიელის, არც ქართველთა განმანათლებლის - მოციქულთა სწორი - მესხი ქალწული ნინოს დამსახურება კაცობრიობის ცივილიზაციის წინაშე.

აკად. ივ.ჯავახიშვილი წერს: „VII საუკუნიდან ქრ. წ.მოყოლებული, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაპირებსა და მის მოსაზღვრე ქვეყნებში არასდროს, თამარ მეფის ლაშქრობის გარდა, ქართველების ბატონობას ხანგრძლივ ფეხი არ მოუდგამს და არ მოუკიდია. მაშასადამე, ქართველებს არ შეეძლოთ, რომ აქ თავიანთი ენა-კილოკავები რაიმე გზით გაევრცელებინათ, პირიქით, სპარსელების, ბერძნების, რომაელების, ბიზანტიელების, სელჯუკებისა და ოსმალების ხანგრძლივ ბატონობას თავისი კვალი უნდა დაეტოვებინა ადგილობრივ მკვიდრთა დედაენაში და მოსალოდნელიც იყო, რომ მათ თავიანთი დედაენა დაევიწყებიათ. თუ მრავალ უცხოელთა ბატონობისდა მიუხედავად, აქ ლაზურ-ჭანური ლაპარაკი ახლაც ისმის, ეს მხოლოდ იმის დამამტკიცებელი და მომასწავებელი საბუთია, რომ ლაზურ-ჭანური იქ იმთავითვე სუფევდა, რომ ხალიბები, ტიბარენნი, მოსვინიკები, დრილები და სვანები სწორედ ლაზურ-ჭანურს ლაპარაკობდნენ, რომ ისინი ქართულ ეროვნებას ეკუთვნოდნენ" (ივ.ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ.I, თბ., 1951 წ., გვ. 415).

ამრიგად, ისტორიულ წყაროებზე



დაყრდნობით, ნათელი ხდება, რომ კაბადოკიის მიწა-წყალზე სახლობდნენ ქართველი ტომები, რომელთა ისტორია სისხლხორცეულად დაკავშირებულია ქართველი ხალხის ერთიან ისტორიასთან, მის ენასთან და სარწმუნოებასთან, მის ყოფასთან და წეს-ჩვეულებებთან.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, დიახაც დასანანი და სამწუხაროა, რომ თურქეთში გამოცემულ წიგნში „კაბადოკია" ერთი სიტყვაც არაა ქართველთა შესახებ. იგივე ითქმის სხვა ქვეყნებში გამოცემულ ნაშრომებზე, თუ არ მივიღებთ აშკარა ტენდენციურ გამოხდომებს - სომხების მხრიდან მათ მიერ სხვადასხვა ქვეყანაში და სხვადასხვა ენებზე დასტამბულ წიგნებს, სადაც არათუ კაბადოკია, არამედ თითქმის მთელი აღმოსავლეთ საქართველოც სომხეთის ტერიტორიადაა გამოცხადებული. თუ როგორ რეაგირებას ვახდენთ ჩვენ, - საქართველოში, - ამაზე თვით მკითხველი გეიპასუხებს. ერთი კი ფაქტია, ჩვენი მსჯელობანი, ჩვენი წერილობითი დისკუსიები, ოდნავადაც ვერ პასუხობს იმ მოთხოვნილებებს, რასაც გვიყენებს თანამედროვეობა, განსაკუთრებით ტერიტორიალური საკითხების მოსაგვარებლად, თუნდაც კაბადოკიიდან ნიკოფსიამდე (ნოვოროსიამდე). ასეთი მდგომარეობა, მეცნიერების ასეთი დონე, - ათეულობით აკადემიები და ორასამდე უმაღლესი სასწავლებლები (რომ არაფერი ვთქვათ უთვალავ სპეციალურ კოლეჯებზე), - უფრო მეტს გვავალებს. იცის კი რაიმე ქართველმა ფართო მკითხველმა კაბადოკიაზე?! იცის კი, თუნდაც ჩვენ საუკუნეში როგორ „გავაჩუქეთ", არამარტო ნიკოფსია, არამედ თურქეთზე ქართული ვილეიათები (1921. წ.), აზერბაიჯანზე - ბელაქანი, ზაქათალა, კახი, მთელი გარეჯის 12 მონასტრიანი საძოვრები, სომხეთზე, - ლორე, ალავერდი, (რომ ასევე არაფერი ვთქვათ დღევანდელ აფხაზეთსა და შუაქართლზე, - ოსეთზე). ახალ-ახალი ტერიტორიალური პრეტენზიები სომხებისა და აზერბაიჯანელთაგან?! მილიონიან ქართველთა სამშობლოდან გადახვეწა? საკუთარ ქვეყანაში 300 ათასი დევნილი? - ისტორიის მთელ მანძილზე არ ახსოვს ჩვენს ქვეყანას ასეთი ტრაგედია!!!

დედაო ღვთისავ, დაიფარე ქართველი ერი!

**ვახტანგ გურგენიძე**

თებერვალი, 1997 წელი



## ნუგზარ ფოფხაძე:

# ჩვენ ახლა უნდა ჩავაქროთ შუქი, წავიდეთ სახლებში, დანარჩენი სამხედროების (!!!) საქმეაო!

მეოთხე გვერდიდან

*წიგნში წერს(?!), ის „სხვა" თბილისის აეროპორტში 8 აპრილს ჩამოფრენილ თვითმფრინავში იჯდა; „ხოლცვა-ყლეტის" გეგმა იდეოლოგიურმა განყოფილებამ შეიმუშავა; 9 აპრილის ღამეს „იმათთან" ჩასვლა მინდოდა, მაგრამ ამ ორგულმა ბიუროს წევრებმა „სასტიკი წინააღმდეგობა გამიწიესო"; არც სხვას უნდა დააწერინო: ჩემი, როგორც ხელმძღვანელის როლი 9 აპრილის ამბებში, იმასთან შედარებით, რაც ჩემმავე ხელქვეითებმა ჩაიდინეს, უმნიშვნელო არისო! ეს „უსინდისო" თბილისის პარტიული აქტივიო, რაც ვუთხარი, არაფერი ისე არ გააკეთესო და კიდევ ბევრი რამ, რომელი ერთი ჩამოვთვალოთ?..*

მე რა, მეტი საქმე არ მაქვს, რომ ორი თვე ყველაფერს ჩამოვშორდი, იმ საშინელ დღეებს ვიგონებ და „საქართველოს" ყველა ნომერში კონვეიერული წესით ამ პუბლიკაციებს ვაცხობ? ნორმალურ ადამიანს, შეიძლება, არ ზარავდეს იმ უბედურების გახსენება და ხელახალი განცდა? მაგრამ, უკვე ვთქვი, ყველამ თავისი ჯვარი ზიდოს! მეც და სხვამაც! ამიტომ განვაგრძობ.

...ერთი სიტყვით, ჩამოვედი პატიაშვილისგან. ოთახში მარტო გურგენიძე დამხვდა, დაწვრილებით ვუამბე მთელი საუბარი. ვფიქრობთ, რა ვქნათ. 10-15 წუთში ისევ ზარი. პატიაშვილია, თანაც ისეთი ტონით მელაპარაკება, თითქოს არაფერი მომხდარიყოს: ახლა მიტინგზე მუხრან მაჭავარიანი გამოვიდა, მომიტინგეები შეაგულიანა, არ შეგეშინდეთ, ბოლომდე თქვენთან ვარ და ყველა პატიოსანი ქართველი მწერალი თქვენს გვერდით იქნებაო. ჩადი, დაელაპარაკე, რა უნდა, გაგვაგებინოსო...

ვერ ჩაველ-მეთქი! რატომო, მეკითხება. იმიტომ, რომ არგუმენტები აღარ მაქვს, რაღა ვუთხრა, გინდ მუხრანს, გინდა სხვას, ამდენი ტყუილების შემდეგ-მეთქი. პასუხი: გთხოვ, ჩადი, დაელაპარაკე!..

მე და ვაჟა გურგენიძე მთავრობის სახლში გადავედით. გურგენიძე მუხრან მაჭავარიანის მოსაძებნად პირდაპირ გავიდა მომიტინგეებში, მე პრემიერის კაბინეტს მივაშურე. ვეკითხები ზურაბ ჩხეიძეს, რომელიც, პრაქტიკულად, იმ დღეს შეუდგა მთავრობის მეთაურის მოვალეობის შესრულებას, თუ იცი რა ხდება, რას აპირებენ-მეთქი. ამაღამ, ალბათ, შინაგან საქმეთა სამინისტრო მოედანს გაანთავისუფლებს და მოშიმშილეებს საავადმყოფოებში გადაიყვანენო. ვუზიარებ ჩემს ეჭვებს. გულწრფელია, მეტი არაფერი იცის. მოულოდნელად შემოდის ბეგლარ მახარაშვილი, პარტიის თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი. იგივე ვითარებაა-ყურმოკვრით იცის, რომ შუაღამით მოაწყობენ რაღაც „ოპერაციას". ჩხეიძის თანდასწრებით ვუკავშირდები ოთარ ჩერქეზიას-გაჭრილი ვაშლივით ასეთივეა მისი პასუხიც-მილიცია... შუაღამით...

ახლა მე თვითონ მიჩნდება ეჭვი, ეგებ ვცდები, როგორ არ დავუჯერო რესპუბლიკის პრეზიდენტს, პრემიერს, თბილისის პირველ ხელისუფალს, რომლებიც სიტყვა-სიტყვით ერთსა და იმავეს მიმეორებენ. მაგრამ რა ვუყო სიდამონიძისა და გოგოლაძის ინფორმაციას?..

შემოდის მუხრან მაჭავარიანი. გულახდილად ვუზიარებ ჩემს ეჭვებს, შიშს. ვეუბნები, რომ გადაჭრით, ზუსტად არ ვიცი, მაგრამ მოსალოდნელია ძალის გამოყენება. მუხრანიც შეწუხდა, რა მოვიმოქმედოთო, მეკითხება. ჩემი ინიციატივით ვთავაზობ მიტინგის „დინამოს" სტადიონზე გადატანას, მოშიმშილეთა და, საერთოდ, მონაწილეთა ავტობუსებით გადაყვანას. იქვე ვუკავშირდები ტრანსპორტის მინისტრს ალექსანდრე გლურჯიძეს, არც დამჭირვებია ახსნა, უსიტყვოდ გამიგო და მიპასუხა: ერთ საათში 200 ავტობუსს გავამზადებო.

ზურაბ ჩხეიძე ოთახიდან გადის.. მუხრანი ფიქრობს და თავის წინადადებას მიბრუნებს: ეგებ მივცეთ მომიტინგეებს საშუალება სტადიონამდე ქვეითად მივიდნენ, ტრანსპარანტებით... ეს უკვე დემონსტრაციაა და ახალი ხათაბალა იქნება-მეთქი, მაგრამ მაინც დავთანხმდი, უხალისოდ.

ზურაბ ჩხეიძე ოთახში დაბრუნდა და მაცნობა, პატიაშვილს დავუკავშირდი, ჩავაყენე საქმის კურსში თქვენთან საუბრის შესახებ და თანახმაა ფოფხაძის წინადადებაზეო.

მუხრანმა პირობა მომცა, არაფორმალთა ლიდერებს საქმის კურსში ჩავაყენებ და პასუხს გაცნობებო...

გადის დრო. მუხრანი არ ჩანს. ვღელავ. მიტინგზე თბილისის მილიციის უფროსს რომან გვენცაძეს მიკროფონი არ მისცეს. მაინც მოახერხა რამდენიმე სიტყვის თქმა... ისევ ვაჟა გურგენიძეს ვთხოვ დახმარებას. ბოლოს ლენინის რაიონის პროკურორის სიმონ მაჭავარიანის მეშვეობით მუხრანს ვუკავშირდებით: არაფერი გამოდის, შეუვალნი არიან, ზვიადმა შემოგითვალა, თითსაც ვერ დაგვაკარებენო!..

*გასაგებია-არაფორმალთა ლიდერები ან ილუზიას არიან აყოლილი ან ბოლომდე აპირებენ „თამაშს", მიზნის მიღწევისთვის ყველაზე დიდ რისკზე მიდიან...*

დარჩა ბოლო შანსი-ხელისუფლება, პატიაშვილი!

უკვე სამი საათია. ადგილზე ვერ ვჩერდები. გადავწყვიტე შინაგან საქმეთა მინისტრთან გორგოძესთან დაკავშირება:

შოთა, რას აპირებთ ამაღამ-მეთქი. ახლა კათალიკოსი მოვა, რაღაც იმედი რჩებაო... მიხსნის, თუ რა მოიმოქმედა კიდევ, მაგრამ, ვატყობ, თვითონაც ბოლომდე არ სჯერა იმისი, რასაც მიამბობს. ისიც აშკარად ღელავს. ვეკითხები, გარანტირებული ხარ, რომ ცუდი არაფერი მოხდება? არაო, მიპასუხებს, ამისგან არ ვართ დაზღვეულნიო. დაბეჯითებით ვეუბნები: აგერ ზურაბ ჩხეიძეც აქ არის, ამ ჩვენს საუბარს ისმენს და მისი თანდასწრებით გაფრთხილებ, როგორც მეგობარი, რაიმე უბედურების შემთხვევაში, იცოდე, ყველაფერი შენ დაგბრალდება, ყველაფერზე უშუალოდ შენ მოგიწევს პასუხისმგებლობა-მეთქი. რა ვქნათ, რას მთავაზობო, მეკითხება. დაურეკე პატიაშვილს, უთხარი გააუქმოს ან გადადოს ოპერაცია, აუხსენი, რომ საშიშროება რეალურია... აქეთ მეკითხება, შენ თვითონ რატომ არ ურეკავო. გამოვუტყდი,. მასთან მქონდა საუბარი, ჩემი არ სჯერა და შენ ნამდვილად გაგიწევს ანგარიშს-მეთქი. ცოტა იჭოჭმანა და... დარეკა. ყურმილში მესმის: ჯუმბერ ილიჩ, ეგებ არ ღირდეს დღეს ამ ოპერაციის ჩატარება...

მათი საუბარი მოკლეა. ბოლოს გორგოძე მეუბნება: მე თვითონ დამავალა როდიონოვის მოძებნა, ან დამიკავშირდეს, ან შენ თვითონ უთხარი, რაც გინდაო...

აქაც ყველაფერი ნათელია-გორგოძე თავიდან მოიშორეს. მაგრამ, ბოლო მომენტში, *ხელისუფლების პირველი პირები მაინც ორჭოფობენ, თუმც იმ მომენტში ბოლომდე შეგნებული არა აქვთ მოსალოდნელი საშიშროება, ეტყობა, ისევ ილუზია ასაზრდოებთ და ერთი დარტყმით აპირებენ თავიანთი პრობლემის გადაჭრას.*

...პატიაშვილი როდიონოვს მაინც დაუკავშირდა.

აი, როგორ აღწერს ამას როდიონოვი: „...В 3 часа 30 минут по радиосвязи меня нашел т.Патиашвили. Я доложил о сложности обстановки... Патиашвили сказал, что выступил каталикос Илия второй и спросил, что будем делать. Я ответил, что необходимо выполнять решение бюро ЦК и Совета Обороны."

კომისიის შეკითხვაზე „При связи с т.Патиашвили не высказывал ли он предложения по переносу операции?" როდიონოვმა უპასუხა: „Нет. Высказывал только сомнения."

ისევ შეკითხვა: „Нельзя ли было перенести операцию?"

როდიონოვი: „Нет... После событии все уходят от политической оценки, доходят в высказываниях до того, что это было мирное гулянье. Но обстановка была накалена, если воиска ушли, неизвестно, что бы было."

*შეეძლო თუ არა პატიაშვილს ამ საუბრის დროს კატეგორიულად მოეთხოვა როდიონოვისთვის ოპერაციის გაუქმება ან გადადება?* ამ შეკითხვაზე პასუხს უაღრესად პრინციპული მნიშვნელობა აქვს. ყველაზე სანდო, ამ შემთხვევაში, თვითონ პატიაშვილია. როგორც მან საქართველოს უმაღლესი საბჭოს კომისიაზე განაცხადა, *9 აპრილს იგი რეალურ ძალაუფლებას ფლობდა და ბოლო წუთამდე შეეძლო მიტინგის ალყვეთის ოპერაციის გადადება* (საქართველოს სსრ ქ.თბილისში 1989 წლის 9 აპრილს მომხდარი ამბების გარემოებათა გამომკვლევი კომისიის დასკვნა. პირველი თავი.).

ესეც პასუხი თქვენს კითხვაზე *ორივე მხარემ ცალ-ცალკე და ორივე მხარემ ერთად მოინდომა ერთმანეთთან ჭიდილში სუფთა გამარჯვების მოპოვება. ორივემ, ოღონდ... სხვათა სიცოცხლის ხარჯზე!*

...9 აპრილის ოპერაციის დაწყებამდე სულ ცოტა ხანი რჩებოდა...

იმ ღამით დაიწყება ახალი ისტორიული ეტაპი საქართველოს უახლეს ისტორიაში-იმ ღამით პრაქტიკულად დამთავრდება კომუნისტური ხელისუფლების მონოპოლიური მმართველობის 68-წლიანი ხანა, დაიწყება გარდამავალი პერიოდი, რომელიც მალე ხელისუფლებაში მოიყვანს ზვიად გამსახურდიას. ეს იქნება საქართველოში 80-იანი წლების მეორე ნახევარში წარმოშობილი პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ძალთა პოლარიზაციის, სამოქალაქო დაპირისპირების შედეგი, რომელიც საბოლოოდ სამოქალაქო ომში გადაიზრდება. ეს შემდეგ, მანამდე კი „პერსტროიკის" იდეებმა და მისი განხორციელების დამუხრუჭებამ საქართველოში წარმოქმნა ორი რადიკალური ფლანგი-ერთ მხარე, კონსერვატიული პარტიული ზედაფენა და მეორე მხარე, როგორც რეაქცია მის პოზიციაზე-რადიკალური ოპოზიცია უკიდურესი ლოზუნგებითა და პოზიციებით.

...კომუნისტური სისტემის ნგრევის ეტაპზე, ყოფილ საბჭოთა კავშირში, ძალაუფლების გადაცემის ტექნოლოგიაში რამდენიმე ტენდენცია გამოიკვეთა. ერთი მოდელი-პირობითი სახელწოდებით „ბალტიისპირული"-მკაფიოდ გამოვლინდა ლიტვაში, სადაც პოლიტიკური ინიციატივის ხელში ჩაგდების შემდეგ, ადგილობრივი პარტიული ელიტა სათავეში ჩაუდგა მოძრაობას სუვერენიტეტისა და დემოკრატიული გარდაქმნისათვის. მეორე მოდელი -პირობითად „შუააზიური" -დამახასიათებელი, მაგალითად, უზბეკეთისთვის, სადაც ისტებლიშმენტმა არც ინიციატივა დათმო და არც მისცა ძალაუფლების სადავეები „ახლებს"-დაეყრდნო ტრადიციულ საზოგადოებრივ ფასეულობებს და მტკიცედ გაუძლო კიდეც გარეგან კატაკლიზმებს. განსხვავების მიუხედავად, *ორივე შემთხვევაში, ეროვნული ინტერესების უზენაესობიდან გამომდინარე, ხელისუფლებამ უზრუნველყო გარდამავალი პერიოდისა და სტრუქტურების სტაბილურობა.*

საქართველოში კი შეიქმნა ყველაზე უფრო დამანგრეველი „მსხვრევადი" მოდელი. ობიექტურად ანტისაზოგადოებრივ, ანტირეფორმისტულ გზაზე დამდგარი კონსერვატიული ცკ-პოლიტიკურ ტერორს, ძალადობასა და პროვოკაციის ელემენტებს რომ ამჯობინებდა ფართო სამოქალაქო ურთიერთობასა და დიალოგს, თანდათან პოლიტიკურ იზოლაციაში მოექცა, რაც მისი პოლიტიკური სიკვდილით დამთავრდა. საზოგადოებაში გაჩენილი სიცარიელე ამოავსო "სარკისეზურმა" ხასიათდება [illegible] ლიც რადიკალური და [illegible] უხამებდა [illegible] ებრიობის [illegible] იტარულ თვალსაზრისს (სახელმწიფოზე, საზოგადოებასა და ეკონომიკაზე), ანტიკომუნიზმს (სხვათაშორის, არანაკლებ სახიფათოს, ვიდრე მისი შემქმნელი-კომუნიზმია, რომლის ლოგიკურ გაგრძელებას და დამამთავრებელ სტადიას, ყოველთვის წარმოადგენს უკიდურესად მემარჯვენე ნაციონალიზმი და ფაშიზმი) და ცნობიერების კრიმინალიზაციას.

ამგვარად, საქართველომ სწორედ 80-იანი წლების მეორე ნახევარში დაკარგა „ახალ ეპოქაში" გადასვლისათვის მომზადებისა და მასთან შედარებით უმტკივნეულო შერწყმის შესაძლებლობა. ყველაზე დამანგრეველ „სცენარზე" პასუხისმგებლობა რადიკალური ოპოზიის პარალელურად, უწინარესად, ეკისრება 85-90 წლების პარტიულ-სახელმწიფო ელიტას, რომელმაც თავისი ბეცი, უპასუხისმგებლო პოლიტიკით ყველაზე ფართო საზოგადოებრივი, ეროვნული და პოლიტიკური განწყობილება, მათ შორის ახალი საერთაშორისო ტენდენციებიც პოლიტიკანურ, წუთიერ ინტერესებს ანაცვალა.

ჩემდა სამწუხაროდ და საუბედუროდ, ეს პასუხისმგებლობა უნდა გავიზიარო მეც-ამ ელიტის წევრმა. სწორედ ამით იყო განპირობებული აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობიდან ჩემი მრავალწლიანი განრიდება.

ჩემი პირადი შეცდომებიც, ახლა, მრავალი წლის გასვლის შემდეგ, „არაექსტრემალური" გადასახედიდან, უკეთ ჩანს. მაშინ ვერ გადავლახე იმ პერიოდის ხელმძღვანელობის მუშაობის სტილისთვის დამახასიათებელი პრიმიტივიზმი, ამბიციურობა, სიჯიუტე და ეჭვიანობა; ბოლომდე თანმიმდევრული არ ვიყავი საკუთარი პოზიციების დაცვისას, ვერ შევძელი კოლეგების დარწმუნება ზოგადად, კონკრეტულად კი 9 აპრილის ექსტრემალურ სიტუაციაში (საპირისპიროდ 1988 წლის ნოემბრის „შიმშილობის აქციისა", როცა ეს მოხერხდა. ეს ცალკე და განსაკუთრებული თემაა!). მაგრამ, ვფიქრობ, ანგარიშგასაწევია ის, რომ პარტიულ პოსტზე საქმიანობა მკაცრად რეგლამენტირებული და განსაზღვრული იყო პარტიული დისციპლინისა და ეთიკის ნორმებით, „დემოკრატიული ცენტრალიზმისა" და „კოლექტიური ხელმძღვანელობის" ათწლეულებით ჩამოყალიბებული დაწერილ-დაუწერელი კანონებით თუ პრინციპებით, ცენტრის უყოყმანოდ და სავალდებულოდ მისაღები მითითებებით. ისიც უნდა ვაღიარო, რომ ზედმეტად ვუწევდი ანგარიშს კოლეგიალობას, უგულვებელვჰყოფდი პოლიტიკაში პიროვნულის მნიშვნელობის უმარტივეს აქსიომას. მამართლებს თუ არა ყოველივე ეს, ჩემი განსასჯელი არ არის.

...ამჯერად ამით დავამთავროთ. ბოდიშს ვუხდი მკითხველს და რედაქციას, რომ ორიოდე კითხვას არ ვუპასუხე, ვინაიდან ისინი პირდაპირ არ ეხებოდა მთავარ თემას. თანაც, გამოგიტყდებით, ფსიქოლოგიურად დიალოგის გაგრძელებაც მიჭირს, მკითხველსაც, ალბათ, თავი მოვაბეზრეთ. და მიუხედავად იმისა, რომ სათქმელი ბევრი დამრჩა, ასეთ დიალოგსა და პოლემიკაში მონაწილეობის არავითარი სურვილი აღარ მაქვს. რა თქმა უნდა, თუ არ მაიძულებენ...

**ესაუბრა**
**გუგაზ მეგრელიძე**



**სახელდახელო ჩანაწერები**

# ქართველები

## ფსიქოლოგიური ეტიუდები

**ვახტანგ გოგუაძე**

### მწარე-მწარეებს ნუ წაიკითხავთ...

ამას წინათ, 7 თებერვალს, პარლამენტში, შესვენება დემოკრატიულად გამოიყენა ბატონმა ედუარდმა – თავისი ცნობილი ღიმილით გაგვათბო. მე სხვათა გასაგონად მეუბნება:

– ვახტანგ, ყველაფერს ვკითხულობ შენს პუბლიკაციებს.

– აააჰ, არა ბატონო ედუარდ, ყველაფერი არ წაიკითხოთ, მხოლოდ ის წაიკითხეთ, რაც კარგი მიწერია თქვენზე. მწარე-მწარეებს ნუ წაიკითხავთ.

ფილოსოფიური ანეკდოტია: დედაბერს ოქროს დამზადების საიდუმლოება მოსთხოვეს ყაჩაღებმა. სიკვდილის ყველას ეშინია და რა ექნა საწყალს, ასწავლა რეცეპტი. დამთავრებისას დედაბერმა უთხრა: ოღონდ რომ დაიწყებთ ოქროს დამზადებას, არ იფიქროთ თეთრ დათვებზეო. ყაჩაღები გახარებულები წავიდნენ. როცა შეუდგნენ სანუკვარი მეტალის მიღების პროცედურას, მხოლოდ და მხოლოდ თეთრ დათვებზე ფიქრობდნენ. რასაც ძალიან განელტვი, იგი ძალიან მოგელტვის. ვინც მიზნად დაისახავს, არ წავიკითხავ გოგუაძის ნაწერებსო, ის ყველაზე კარგად წაიკითხავს, ან გაიგებს, სხვათა ნაამბობით მაინც.

### ხასიათი სახასიათო დიალოგიდან

ერთხელ რეზო სირაძე (პროფესორი, ცნობილი მეცნიერი, ფილოლოგი) დილით რამდენიმე მეგობართან ერთად სახაშეში ჩავიდა. წინა დღით ნაბახუსევს სასმელის ხსენებაც კი ეზარებოდა. იქვე მეგობართაგან, შემოსტუმრებული, ახალგაცნობილი კაცი რეზოს არაყს უსხამს. რეზომ სასწრაფოდ დააფარა ხელი ჭიქას: ოპ, ოპ, ოპ, – უსაშველოდ იუარა. ახალგაცნობილმა კაცმა მშვიდად შეხედა რეზოს და უთხრა:

– თქვენ, მაპატიეთ, მაგრამ დღეს ისე მკრად იუარეთ, რომ აუცილებლად დათვრებით.

რეზო სიცილისგან კინაღამ სკამიდან გადავარდა. ისე ყველაფერი აგიხდეთ, რეზო საღამოს ძალიან კარგ ხასიათზე დაბრუნდა სახლში.

### ის ურჩევნია მამულსა

ძველი პარლამენტი მუშაობას შეუდგა. კანონპროექტი გამოაქვს იურიდიული კომისიის ახალგაზრდა თავმჯდომარეს შალვა ნათელაშვილს. ვიღაცამ რაღაც წამოიძახა. შალვას პასუხი: – ეს რა სისულელე ბრძანეთ, პატივცემულო დეპუტატო. მეორემაც რაღაც უაზრო შენიშვნა მისცა. ამაზედაც მთის კაცის პირდაპირობით მიუგო – აბსურდიაო ეს. აყაყანდნენ და კენჭისყრაზე კანონპროექტის დაყენებასაც აზრი არ ჰქონდა, ვერ გავიტანდით. განაწყენდა ბევრი. წავედით ჩემთან, კაბინეტში ჩავიკეტეთ.

– შალვა, ახლა ჩვენ ვივარჯიშოთ ღიმილის ხელოვნებაში. მე პირადად ღიმილი არ მიხდება, შენ გიხდება.

შალვას გაეღიმა.

– რაც არ უნდა სისულელე გითხრან, ნუ ეუბნები – სისულელეს ამბობო.

– აბა, ბატონო ვახტანგ, სიცრუეს ხომ ვერ ვეტყვი.

– სიცრუეს არა, მაგრამ არც ნატურალური სიმართლე უნდა სთხლიშო სახეში. რაც არ უნდა გითხრან, თავი დაუქნიე, უთხარი, საინტერესოა თქვენი აზრი და მერე ქრისტესი არ იყოს, – კი, მაგრამ არაო.

შეგახსენებთ: მაცხოვარს მდიდარმა ჭაბუკმა ჰკითხა, მდიდარი კაცი სასუფეველს თუ მოიპოვებსო.

– კი – უთხრა ქრისტემ, მაგრამ გაუძნელდება ისევე, როგორც აქლემს ნემსის ყუნწში გასვლაო... იმისთანა აქლემს რა ვუთხრა, ნემსის ყუნწში რომ გაეტევა, ან იმისთანა ნემსს ვინ დაიჭერს თითებს შორის, კოსტუმი რომ შეიკეროს?..

ვიცინეთ ბევრი. შალვამ მალე დაამტკიცა, რომ თავის დამრიგებელზე ბევრად ნიჭიერია. 80% იმ პარლამენტის მიერ მიღებული კანონებისა დიდად უნდა უმადლოდეს შალვა ნათელაშვილის ცოდნას, განათლებას, გონიერებასა და ტაქტს.

ნათელი კაცია ნათელაშვილი. იგი ბაზალეთის ტბის პირას დაიბადა და გაიზარდა.

მოკლედ, შალვა ხშირად ეთანხმებოდა ისე, როგორც ერთ ცნობილ ანეკდოტშია: – ეს მართალია, რომ აკადემიკოსმა ამბარცუმიანმა ლატარეაში მოიგო 100 ათასი მანეთი? – დიახ, სწორია, ოღონდ არა აკადემიკოსმა ამბარცუმიანმა, არამედ მეწაღე აბოვიანმა, ლატარეაში კი არ მოიგო, არამედ ბანქოს თამაშით, თანაც არა 100 ათასი მანეთი, არამედ 3 მანეთი, ჰო, კი არ მოიგო, არამედ წააგო. მორალი: ის ურჩევნია მამულსა, შალვა რომ სჯობდეს სპიკერსა.

### კლინტონი და ვახო...

სპიკერატი ვზივართ ბატონ ედუარდთან – ბატონო ედუარდ, იცით, როცა ვახტანგი რჩეულიშვილი) ჩავიდა სტრასბურგში – [illegible] ლექტორი ხალხი თურმე ჩურჩულებდა – შეხედეთ, ნახეთ, როგორ ჰგავს რჩეულიშვილი კლინტონსო. – ეგ რაა, თქვა ბატონმა ედუარდმა – კლინტონი რომ ჩავიდა, მთელი სტრასბურგი ხმამაღლა ლაპარაკობდა – როგორ ჰგავს კლინტონი რჩეულიშვილსო... ყველაზე მეტი რჩეულიშვილმა იცინა.

### თავისთვის კაპიტალიზმს იშენებს, სხვებს სოციალიზმს უშენებს, ვინაა?

წინასაარჩევნო კამპანიის დროს, თელავში, ერთ-ერთმა ამომრჩეველმა მკითხა: – ბატონო ვახტანგ, ვიცით, რომ თქვენს კაბინეტში თავზე დაგყურებთ პატარა კახის პორტრეტი, წამდაუწუმ პირზე ილიას სიტყვები გაკერიათ. ისიც მოგეხსენებათ, ილია რომ სოციალიზმს ვერ იტანდა. როგორ უყურებთ რჩეულიშვილის სოციალისტურ პარტიას?

– აი, პარადოქსი, კახელი ვახტანგი გურულების საყვარელ მოძღვრებას მისდევს, მე, გურული კაცი, კახელების მოძღვრებას.

ვახტანგი განათლებული და გონებამახვილი კაცია, ამიტომ ერთ გამოცანას ვთავაზობ გამოსაცნობად: თავისთვის კაპიტალიზმს იშენებს, სხვებს სოციალიზმს უშენებს, ვინაა?

### შევარდნაძე — მჟავანაძე

ეძღვნება ადგილობრივი არჩევნების XXI საუკუნის დამდეგისათვის ჩატარების პროექტს. 1970 წლის თებერვალი, პავლოვის ქუჩაზე, ერთ მშვენიერ ოჯახში (გიგა ლორთქიფანიძის ცოლისდის სახლში), მცირერიცხოვანი, მაგრამ შესანიშნავი სუფრაა. ბატონი გიგა ფორმაშია. ერთი ერთმანეთზე საინტერესო ამბებს ჰყვება.

განსაკუთრებით დამამახსოვრდა ერთი:

– ჩვენი შინაგან საქმეთა მინისტრი რომაა, ედუარდ შევარდნაძე, ჩემი ამხანაგია, სხვათაშორის, კაი ბიჭია, მაგას ვეუბნები: – ედუარდ, რაიონის ხელმძღვანელი მაინც აარჩევინეთ ხალხს... იცით, რა მითხრა?.. შენ გინდა ხალხი დააჩვიო მართალ არჩევნებს, მერე-და მჟავანაძის გადარჩევა რომ მომთხოვონ?

# როცა ენას გვგლეჯდნენ...

**სტენოგრაფიული ანგარიში საქართველოს მწერალთა ღია კრებისა. 1978 წლის 11 აპრილი. თავმჯდომარეობს ნ. დუმბაძე**

ჯანსუღ ჩარკვიანი – მე მეგობრებო, ეტყობა ისე საფუძვლიანად რაღაც-რაღაცეებს ვერ მივაქციე ყურადღება და გუშინდელიდან განსხვავებით მინდა ეთქვა ის, რომ „კონსტიტუციას აცხადებს საქართველოს ხალხი" და მართლაც არა „ქართველი ხალხი". რაც ამ შესავალშია, ეს შეცდომაა და ეს უნდა გასწორდეს (ხმები – სწორია!) ისეთ პრინციპულ დონეზე დავაყენეთ ის საკითხი, რომელიც ასე მწვავე იყო, რომ ეს გამოგვრჩა (გ.აბაშიძე – ეს ისევეა, როგორც ჟურნალს რომ ჰქვია, „საქართველოს ქალი").

მე შეიძლება ცოტა მეტი უფლება მივცე ჩემს თავს და ორი სიტყვით კი არ შევექამათო, ორი სიტყვით ვუთხრა ნოდარ წულეისკირს, ის ჩემი ამხანაგი კი არა, მეგობარია და ვუთხრა იმიტომ, რომ ეს იყო ძალიან მოფიქრებული სიტყვა, ნიჭიერი კაცის მიერ დაწერილი და ცოტა ისეთი სუნი უდიოდა, ცოტა ისეთი სული გამოსჭვიოდა, თითქოს რაც იცოდა, რაც ტკიოდა, თითქმის ყველაფერი ჩააქსოვა ამ სიტყვაში, თითქოს საბოლოო სიტყვას ამბობდა ეს არ არის სწორი, იმიტომ, რომ ნოდარი კიდევ ბევრ სიტყვას იტყვის და ჩვენ ერთად ვიქნებით ჩვენს პარტიაში, რომ მისი ლენინური პოზიციები დავიცვათ და იმ ზომაზე მოვჭრათ. იმ თარგზე, როგორც იმ ბელადს ეკადრება (ტაში) და ქართულ ენას დავიცავთ იმიტომ, რომ ასეთი პატრიოტობაა საჭირო (ტაში). მაგრამ ბევრ რაღაცეებში არ ვემხრობი, არ ვეთანხმები. შეიძლება უამრავი შეცდომები იყო, მაგრამ როგორ შეიძლება თქმა „ჩემს სახელმწიფოში ემიგრანტად დარჩენა". განა თუნდაც ის, შენ რომ ასე თამამად გამოხვედი, ესეც უდიდესი მონაპოვარი არ არის ჩვენი კონსტიტუციისა? (ტაში).

მე იმ პირველ ნაწილს მოვხსნიდი შენი სიტყვებიდან იმიტომ, რომ არ იყო ეს საუბარი ეთიკური, ეთიკური ნორმები დაირღვა, როცა ჟორჟოლიანს ეუბნებოდი, ეს კაცი მოსულიაო. ეს არის პარტიული პრინციპებით დანიშნული კაცი, ორგანიზაციულ ნაწილს განაგებს და ერკვევა. ვაჟკაცურადაც იქცევა და ასეთი გულისტკენა არ არის სწორი.

კონსტიტუცია ჩვენი კეთილდღეობის მთავარი გარანტია გახლავთ. ახლახან გამოქვეყნდა ჩვენი რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტი. ჩემის აზრით, მასში ჩაქსოვილია, პარტიული, ეროვნული და ინტერნაციონალური სინდისი, ამიტომაც ასე გაბედულად შემოსთავაზეს ჩვენს ხალხს ეს ისტორიული დოკუმენტი.

ამ პროექტში აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მძაფრადაა ხაზი გასმული იმაზე, რაც ჩვენ ამ ხნის მანძილზე მოვიპოვეთ და რაზეც ღირს ლაპარაკი ყველგან და ყველასთან. რასაც მივაღწიეთ კულტურისა და განათლების სახით, ამაღლებულ დონემდე, ამაზეც სასიამოვნოა საუბარი.

კონსტიტუციის პროექტში თვალნათლივაა საუბარი, რომ ხალხთა შორის ჩამოყალიბდა ნდობა და ესეც მაქსიმალურადაა მიღწეული, განა ესეც საამაყო არ გახლავთ? ხოლო საბრალოა დღეს ის კაცი, სხვა ეროვნების წარმომადგენელი, რომელიც საქართველოში ცხოვრობს და დაჩაგრულად გრძნობს თავს. ეს ალბათ ახირებაა და ნამეტანი თავისუფლებას მოწყურებული, უსაზოგადოებო ცხოვრებას მიჩვეული პატარა კაცის ნაბახუსევია. ჩვენ დღეს საბჭოთა ხალხების ძმური ოჯახის განვითარების ახალ ეტაპზე ვდგევართ. სამოცი წლის მანძილზე განვლილია დიდი და საპატიო გზა, მნიშვნელოვანი მიღწევებით. მოხდა გარდაქმნები ეკონომიკაში, კულტურაში. სოციალურ ცხოვრებაში, გაუმჯობესდა ცხოვრება ყველაფერ ამაზე ნათლადაა ნათქვამი და მადლობის მეტი რა გვეთქმის.

თუ ჩვენი კონსტიტუცია წყობისა და ყოფის უმაღლესი მონაპოვარია. ჩვენი კონსტიტუცია გვთავაზობს ყველა იმ პრინციპს, რომლითაც ერმა უნდა იცოცხლოს; სახელმწიფო ზრუნავს იმისათვის, რომ დაიცვას, ამრავლოს და ფართოდ გამოიყენოს სულიერი ღირებულებანი საბჭოთა ადამიანების ზნეობრივი ესთეტიკური აღზრდისათვის, მათი კულტურული დონის ამაღლებისათვის. პროექტში საინტერესოდ მიმაჩნია უცხოეთთან ურთიერთობის პრინციპი. როგორც სახელმწიფოსი. კონსტიტუცია აკანონებს ჩვენს სუვერენიტეტს, ხოლო ამას იცავს ჩვენი დიდი სოციალისტური ქვეყანა, საბჭოთა კავშირი.

ყველაფერი ეს გახლავთ სსრ კავშირის ყველა ერისა და ეროვნების მჭიდრო შეკავშირებისა და ურთიერთდახმარების, ხალხის თავდადებული შრომის, პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობის შედეგი. საბჭოთა ხელისუფლების უკვე პირველ საკონსტიტუციო დებულებაში, მშრომელი და ექსპლოატირებული ხალხის უფლებათა დეკლარაციაში, რომელიც ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ხელმძღვანელობით შეიქმნა. ლაპარაკი იყო ახალგაზრდა სოციალისტურ სახელმწიფოზე, როგორც ერთა ნებაყოფლობით კავშირზე, რომელსაც საფუძვლად დაედო სრული ნდობა და ძმური ერთიანობის ნათელი შეგნება. სწორედ ლენინის ამ ანდერძით ხელმძღვანელობს ეროვნული საკითხის გადაჭრის დროს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია თავის საქმიანობაში, რომელიც მიზნად ისახავს მრავალეროვანი ქვეყნის საერთო ინტერესების ნამდვილად დემოკრატიულ შეხამებას მასში შემავალი ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ინტერესებთან. სწორედ აქედან გამომდინარე ლაპარაკობდა ამ ტრიბუნიდან მწერალი რევაზ ჯაფარიძე. ჩვენი კონსტიტუციის პროექტის განხილვები იმისთვის ეწყობა, რომ ჭირისუფლურად ეთქვათ ყოველივე ერის სასარგებლოდ, ხალხის სასარგებლოდ, დღევანდელი თაობების სასარგებლოდ და არა შეშფოთებით. თუ ამ გადასახედიდან გადავიხედავთ, ზოგჯერ დაუკვირვებლობამ რთულ მოვლენებთან დაგვაპირისპირა. მე პირადად მისი გახსენებაც არ მინდა. ამხანაგი შევარდნაძე ქართული ენისათვის ისე თავგამოდებით იბრძვის, როგორც ეს მამულიშვილს შეფერის. დიახ, ვიმსჯელოთ და უთუოდ დაგვიჯერებენ, სწორი დასკვნები აინტერესებთ საკონსტიტუციო კომისიაშიც, რომლებმაც გვთხოვეს თამამად გამოგვეთქვა ჩვენი შენიშვნები და წინადადებანი. ესეც დასაფასებელია. მე, როგორც ჩემი სინდისი მიკარნახებს ერის წინაშე ისე მოგახსენებთ:

ჩემთვის, მაგალითად, როგორც პოეტისათვის, უფრო მტკივნეული და ყურადსაღები, რა თქმა უნდა, 75 მუხლია. ჯერ იქედან დავიწყოთ, რომ ლენინი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა რომელიმე ენის პრივილეგირებას. ყველასათვის ცნობილია, რომ ლენინი ამით ომს უცხადებდა ველიკორუსულ შოვინიზმს. ისიც ცნობილია, რომ დღემდე სახელმწიფო ენა არავის არ ეწერა კონსტიტუციაში, გარდა სამი რესპუბლიკისა ვეთანხმები, რადგანაც ყველანი ერთ ძმურ ოჯახში ვცხოვრობთ. ჩვენ ალბათ ვერ ვიქნებით გამონაკლისი.

დავუბრუნდეთ ისევ 75 მუხლს, იგი გვაუწყებს:

„საქართველოს სს რესპუბლიკა უზრუნველყოფს ქართული ენის ხმარებას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, კულტურულ და სხვა დაწესებულებებში და ახორციელებს სახელმწიფო ზრუნვას მისი ყოველმხრივი განვითარებისათვის". მე ასე შევცვლიდი ამ ფრაზას, ადრე ასე ვფიქრობდი, რომ საქართველოს სს რესპუბლიკა უზრუნველყოფს მშობლიური ენის უფლებამოსილებას. დიახ, უფლებამოსილებას და არა ხმარებას და გამოყენებას, დღეს ჩვენ აქ მოვეიყარეთ თავი არა იმიტომ, რომ დოგმაა ჩვენი კონსტიტუციის პროექტი და უყოყმანოდ უნდა მივიღოთ. იგი ხომ პროექტია. ხოლო პროექტის განხილვისას ჩვენს წინადადებებს აუცილებლად გაითვალისწინებენ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში და სპეციალურ საკონსულტაციო კომისიაში, რომელიც ძირითად კანონს გამოაქვეყნებს. შეიძლება ასეთი ვარიანტიც ჩაიწეროს კონსტიტუციაში, რომ ქართული ენა რესპუბლიკაში ოფიციალური ენაა, რომ ქართული ენა რესპუბლიკაში ძირითადი ენაა, ანდა სულაც შეიძლება ჩაიწეროს რესპუბლიკის ენა. ამ ბოლო წინადადებას განსაკუთრებით ვუჭერ მხარს. სულაც იმიტომ, რომ გუშინ საამისოდ შევთანხმდი ჩვენს მეგობარ მწერლებთან.

სრულიად ვემხრობი და ზედმიწევნით კარგადაა ნათქვამი, რომ სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს, იზრუნოს ქართული ენის ყოველმხრივი განვითარებისათვის, ესე იგი, არა მხოლოდ განვითარებისათვის, არამედ ყოველმხრივი განვითარებისათვის. აქ ისიც მთავარია, რომ იგულისხმება ენის ფუნქციონირება და ბოლოს, ამ მუხლის წაკითხვისას, როგორც თავში მოგახსენეთ, საჭიროა მაქსიმალური წინდახედულობა და აგრეთვე პასუხისმგებლობის გრძნობა. მე ასე მესმის – უნდა აღზევდეს ყველა მოკავშირე რესპუბლიკის მშობლიური ენა, ღმერთმა ნუ ქნას, რომ რუსმა რუსულ ენაზე არ ილაპარაკოს და სომეხმა სომხურ ენაზე. ვის შეუძლია წაშალოს ომარ ხაიამის ენა? შექსპირის ენა? ვერავის. ამ მხრივ აღშფოთებისაგან შორსა ვარ. დიახაც, უნდა აღზევდეს მოკავშირე რესპუბლიკების ენა, მშობლიური ენა, ხოლო რა შესაძლებლობებით, ეს ჩვენზეა დამოკიდებული, თუ არავის მივცემთ უფლებას შერყვნას ქართული ენა, რომელიც განაერცო და განადიდა ფარნავაზმა. ჩვენ ყველას კარგად გვესმის – „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს, მოეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას". ეს გახლავთ ჩემი დღევანდელი გამოსვლის სამართალი, რამეთუ 159 მუხლით სამართალწარმოება საქართველოში ხორციელდება ქართულ ენაზე.

მაშ ასე, ენა რესპუბლიკის, ენა ქართული. თუ არა, მე ხმას ვუერთებ ჩემს მეგობარ მწერლებს, რათა 75 მუხლი ამოღებულ იქნას კონსტიტუციიდან, რამეთუ კიდევ ვიმეორებთ – ჩვენ ყველანი ერთ ძმურ ოჯახში ვცხოვრობთ და ერთ ბედქვეშა ვართ. (ტაში).

თავმჯდომარე – მეგობრებო, უკვე ოთხი საათია ვმუშაობთ. ხომ არ შევისვენოთ? 23 კაცია ჩაწერილი (ხმები – შევისვენოთ). გ.ფანჯიკიძის გამოსვლის შემდეგ შევისვენოთ და მტკიცედ დავიცვათ რეგლამენტი.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველო" №4,5,6,7,8,9,10,11,12,13.

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩვენ გრძელი გზა ავირჩიეთ

მესამე გვერდიდან

განწყობა სუფევდა ყველგან. შუა მიტინგზე, რომელიღაც კანდიდატი სერიოზულ სიტყვას ამბობს და ამ დროს ხალხში გამოჩნდა ელცინის ნიღბით კაცი, რომელიც ბუქნას უვლიდა. ატყდა საერთო სიცილი და მხიარულება. ასეთი განწყობა იყო არჩევნებამდეც და მის შემდეგაც. ჩვენს სამეთვალყურეო ზონაში არჩევნები მაღალ დონეზე ჩატარდა. ყველგან სუფევდა სერიოზული და მხიარული ატმოსფერო, უკრავდა მუსიკა. ხალხი სადღესასწაულოდ მორთულ-მოკაზმული მოდიოდა ხმის მისაცემად.

**– თქვენ თქვით, რომ იქ კაზაკები ცხოვრობენ. ვის მისცეს მათ ხმა?**

– ამ რაიონებში ასლან მასხადოვმა მოიგო დიდი უპირატესობით. ოპოზიციურად განწყობილმა რაიონებმა ჩათვალეს, რომ იგი მათ უსაფრთხოებას უფრო უკეთ დაიცავს დამოუკიდებელ ჩეჩნეთში.

**– რომელ კანდიდატს ვინ დაუჭირა მხარი?**

– როგორც კი ხმების დათვლა დაიწყო, ცხადი გახდა, რომ ასლან მასხადოვი მოიგებდა. მას მხარი დაუჭირეს ჩეჩნეთის ყველაზე სერიოზულმა ელექტორატმა: შეიარაღებულმა ძალებმა, ინტელიგენციამ, ახალგაზრდობამ და სხვა ერების წარმომადგენლებმა. შამილ ბასაევს მხარი დაუჭირა უფრო ყმაწვილმა ხალხმა, მოხალისეებმა, რომლებიც რეგულარულ ჯარში არ მსახურობენ და ცენტრალური ფრონტის მებრძოლებმა, რომლის სარდალიც ისაა. რაც შეეხება ზელიმხან იანდარბიევს, მან სუსტად წარმართა თავისი წინასაარჩევნო კამპანია. კანდიდატების კრიტიკის ქარცეცხლი მას ატყდებოდა თავზე და ამით მასხადოვს კრიტიკას არიდებდა. მოგიყვებით და თქვენ განსაჯეთ, რამდენად ჭკვიანურად იყო გათვლილი ყველაფერი. მავლადი უდუგოვმა, რომელსაც მკვეთრად გამოხატული ისლამური მიმართულების წინასაარჩევნო პროგრამა ჰქონდა დევიზით: „ისლამური წესრიგი" და საagიტაციო ფურცლები ყურანის აიათებით იწყებოდა, არჩევნების წინა დღეს თავის ამომრჩევლებს მოუწოდა ასლან მასხადოვისთვის მიეცათ ხმა. ასევე მასხადოვის კაცია ყოფილი კულტურის მინისტრი ახმედ ზაკაევი, რომლის საპრეზიდენტო კამპანია სხვა კანდიდატებზე ანეკდოტების და სახუმარო ამბების მეტი არაფერი იყო, მაგრამ მიზანს მაინც აღწევდა. რელიგიურობის მომენტი სჭარბობდა იანდარბიევის პროგრამაში. უდუგოვის ზედმეტმა რელიგიურმა ლოზუნგებმა შამილ ბასაევის კრიტიკა გამოიწვია, რომელიც აცხადებდა, რომ წმინდა ისლამური სახელმწიფოს შენება ჩეჩნეთში ნაადრევია, რადგან ჩეჩნები სულაც არ არიან ისეთი რელიგიურები, როგორც ეს უდუგოვს წარმოუდგენია. შამილ ბასაევის წინასაარჩევნო პროგრამა უფრო ეროვნულ-ტრადიციულ სახელმწიფოს მშენებლობაზე იყო აგებული. მას ძალიან კარგი პროგრამა ჰქონდა, რომელიც მოიცავდა დამოუკიდებელი ჩეჩნეთის პოლიტიკურ-სამხედრო-ეკონომიკური მშენებლობის ყველა მხარეს. შამილ ბასაევს მხარი დაუჭირა ჩეჩენთა იმ ნაწილმა, რომელსაც სისხლის ღვრა სურს.

სპეციალურად გაზეთ „საქართველოსათვის"
მაკაკა იაშვილი

გაგრძელება იქნება

## პოლსტუხიანი ყაჩაღების მსხვერპლთა [illegible]

საქართველოს დღევანდელი სინამდვილიდან აშკარად ჩანს, რომ ხალხის მიერ ათეული წლობით შექმნილი ეროვნული სიმდიდრე ათასნაირი მაქინაციებით გადავიდა სხვადასხვა ჯურის მტაცებელთა – კრიმინალური, „წითელი" და „პატრიოტული" მაფიის, მექრთამეობით ჯიბეგატენილი ბიუროკრატებისა და სპეკულიანტების ხელში. მეკორუფციეებმა, ძველმა „წითელმა", ახალმა „პატრიოტულმა" ქურდბაცაცებმა და კორუმპირებულმა ელემენტებმა, ხელში ჩაიგდეს რა ძალაუფლება, მარჯვნივ და მარცხნივ გაყიდეს სტრატეგიული თუ არასტრატეგიული ნედლეული, გაძარცვეს და გაანადგურეს ფაბრიკა-ქარხნები. თურქეთში და სხვა მეზობელ ქვეყნებში გაზიდეს ყველაფერი: მანქანა-დანადგარები, სპილენძი, რკინა, ხე-ტყე, მაკულატურა, ქართველი ქალის პატიოსნება და ეროვნული ტრადიციები, ლიტაცეს უცხოეთის მიერ გამოყოფილი მილიარდობით კრედიტები. ამ მაფიოზურმა კლანებმა დააკანონეს უპატიოსნო, ქურდული გზით მოპოვებული ქონება, საზღვარგარეთ შეიძინეს ბინები და აგარაკები, უცხოური წარმოების ძვირადღირებული მანქანები. დედაქალაქის ცენტრში წამოიწყეს მდიდრული საცხოვრებელი სასახლეების მშენებლობა. გარდამავალი პერიოდის ამ მძიმე ეტაპზე რესპუბლიკის მაშინდელი სახელმწიფო მეთაურის გადმოსროლილმა პრაქტიკულად გაუმართლებელმა და სოციალურად მცდარმა ლოზუნგმა – „საქართველოში იქნებიან ძალიან მდიდრები და ძალიან ღარიბები", წარმოშვა მართლაც ძალზედ მდიდარი კასტა, ხელი შეუწყო საზოგადოებრივი საკუთრების დატაცებასა და განადგურებას, რაც ქართველი ერის წინაშე უდიდეს დანაშაულად უნდა მივიჩნიოთ. საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი შიმშილობს, სოციალურად დაუცველია და განუხრელად იზრდება ინდიფერენტულობა.

სახელმწიფო სტრუქტურებში მოკალათებულმა მაფიოზურმა კლანებმა ეს ყველაფერი არ იკმარეს. მათი უშუალო ხელშეწყობითა და მფარველობით შეიქმნა მთელი რიგი ე.წ. სამრეწველო-სავაჭრო კომპანიები. საქართველოს ტელევიზიით მიმდინარეობდა ალვირახსნილი რეკლამა. მათ შორის ყველას აჯობა სამრეწველო-სავაჭრო კომპანიამ „სპექტრმა", რომელიც შეიქმნა თითქოსდა ერთი პირის კომპანიად და დაამტკიცა თბილისის მთაწმინდის რაიონის გამგეობამ 1994 წლის 23 მაისის №4-09/313 განკარგულებით, 50 მილიონი კუპონის ოფიციალურად შეტანილ საფასურად. გამგეობამ იგი დაამტკიცა მაშინ, როცა უკვე ამ ბანკებისა და კომპანიების წინააღმდეგ თითქოსდა ბრძოლა იყო დაწყებული. კომპანია „სპექტრი" ფუნქციონირებდა 1994 წლის 9 სექტემბრამდე. ამ კომპანიის მესვეურთა უზნეობა კიდევ უფრო დამამძიმებელია იმით, რომ ამ აფერისტებმა და დამნაშავეებმა („პრეზიდენტი" ბესიკ ბეციაშვილი, „ვიცე-პრეზიდენტი" ზურაბ ელენტი – ერთ-ერთი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრები, ბუღალტერი ნათელა მელაშვილი, მოლარე ეთერ ბეციაშვილი, რეფერენტი პაატა ჯოხაძე, კომერციული განყოფილების გამგე ბ.თავართქილაძე, ოპერაციონისტი ნ.ნაზაროვა, მცველი ლ.ცისკარიშვილი და სხვ.) მოტყუებით გამოძალეს ყველაზე უფრო გაჭირვებული, სოციალურად დაუცველი ფენის – ინვალიდ პენსიონერთა უკანასკნელი დანაზოგი (ძირითადად პენსიონერთა კატეგორიის 2327 მეანაბრემ „შეიტანა" 589625 დოლარი, 42632 ათასი რუბლი, კომპანიამ გასცა 129527 დოლარი, დაარღვია 46459 დოლარის ღირებულების 128 ხელშეკრულება).

კომპანია „სპექტრს" არავითარი ოპერაციები არ უწარმოებია და მას გაკოტრებულ, მით უმეტეს, ერთი პირის კომპანიად ვერ მივიჩნევთ. იგი წინასწარ ორგანიზებული ბანდიტების მიერ, მათ შორის მთაწმინდის რაიონის გამგეობის მაშინდელი ხელმძღვანელობის აშკარა დაინტერესებითა და მონაწილეობით შეიქმნა ინვალიდ პენსიონერთა გაძარცვის მიზნით. ამიტომ ჩვენთვის გაუგებარია, რომ ზერელე გამოძიების საფუძველზე სასამართლომ რატომღაც სასამართლო პასუხისგებაში მისცა მხოლოდ ბესიკ ბეციაშვილი, როგორც ერთი პირის კომპანიის ორგანიზატორი, ძალზედ „ჰუმანური" ვარიანტით – სისხლის სამართლის კოდექსის 238 მუხლის პირველი და მეორე ნაწილით, აგრეთვე 153-ე მუხლის მეორე ნაწილით. ბეციაშვილის მოადგილემ ზურაბ ელენტმა ვიღაც-ვიღაცეების დახმარებით შეძლო „გაქცევა" და მიიმალა. იგი თითქოს პოლიციის მიერ დღესაც „იძებნება". სასამართლომ ბეციაშვილს ხუთი წლით პატიმრობა მიუსაჯა და სასჯელს „იხდის" მშობლიურ გურჯაანთან ახლოს-სავარეჯოში (შესაძლოა, აქედანაც მალე გაანთავისუფლონ), რაც გაძარცვულ პენსიონერ მეანაბრეთა ბუნებრივ აგდება და ცინიზმია. კომპანიის აშკარა თუ ფარული მესვეური თაღლითები უკეთეს ვარიანტს ვერც წარმოიდგენდნენ.

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის 9 პუნქტში ნათქვამია: „ყველასათვის გარანტირებულია სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება სახელმწიფო სახსრებიდან". ვინაიდან სავაჭრო-სამრეწველო კომპანია დაამტკიცა სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივმა ორგანომ – მთაწმინდის რაიონის გამგეობამ, გაძარცვული ინვალიდ პენსიონერთა მიყენებული ზარალი სახელმწიფომ უნდა აანაზღაუროს, როგორც ეს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებსა და აღმოსავლეთ ევროპის ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში ხდება (რუსეთი, ლიტვა, ალბანეთი და სხვ.).

სახელმწიფოს შეუძლია დაუბრუნოს მოტყუებულ მეანაბრეებს თავიანთი დანაზოგები. ამ მიზნით კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლმა საპარლამენტო კომისიამ (ან სპეციალურად შექმნილმა კომისიამ) უნდა შეისწავლოს და შეამოწმოს საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი ის კორუმპირებული პირები, რომლებმაც საზღვარგარეთ შეიძინეს საცხოვრებელი ბინები, აგარაკები, ძვირადღირებული უცხოური წარმოების ავტომანქანები და თბილისში ააშენეს ზღაპრული საცხოვრებელი სასახლეები. უპატიოსნო გზით ნაძარცვი და მოპარული ფულით შეძენილი ეს უძრავ-მოძრავი ქონება კანონმდებლობის სრული დაცვით მათ სამართლიანად უნდა ჩამოერთვათ. საჯაროდ უნდა გაიყიდოს და ამ გზით შემოსული სახსრებით გაძარცვულ მეანაბრეებს აუნაზღაურდეთ.

სახელმწიფო ვალდებულია გამონახოს სათანადო საშუალებები გაძარცვულ მეანაბრეთა მთელი დაკარგული თანხის ასანაზღაურებლად (ე.წ. „ვაუჩერები", თითქოსდა რაღაც ნაწილობრივი კომპენსაცია, მეანაბრეთა მორიგი მოტყუება იქნება). წინააღმდეგ შემთხვევაში მას გარდაუვალად მოჰყვება მასობრივი აღშფოთება და არეულობა. ჩვენ კი იძულებული ვიქნებით საერთაშორისო სასამართლოს მივმართოთ. სავაჭრო-სამრეწველო კომპანიების გაძარცვულ მეანაბრეებს ვთხოვთ გამოგვეხმაურონ.

სავაჭრო-სამრეწველო კომპანია „სპექტრის" გაძარცვული მეანაბრეები: ვაჟა დავლიანიძე, მაყვალა ნათბელაძე, შოთა მესხელი, ვლადიმერ ჭანუყვაძე, შოთა თეთვაძე

რუსეთის ყოველკვირეულმა გაზეთმა „არგუმენტი ი ფაქტი" (А и Ф) გამოაქვეყნა სენსაციური ცნობა, რომ რუსეთსა და ჩრდილო ატლანტიკურ ბლოკს (ნატო) შორის გამართულია ვაჭრობა აღმოსავლეთ ევროპის თაობაზე. ნატოს სახელმწიფოები მზად არიან ყოფილი აღმოსავლეთ ევროპის საფასურად 20 მილიარდი დოლარი გადაიხადონ; ასევე – 15 მილარდი ბალტიისპირეთის სახელმწიფოებში და 15 – უკრაინაში. კრემლი 50 მილიარდ დოლარს მიიღებს და წინააღმდეგობას აღარ გაუწევს აღნიშნულ სახელმწიფოთა ბლოკში გაერთიანებას. დავძენთ, რომ ფულს, რა თქმა უნდა, ერთბაშად კი არ გადარიცხავენ, არამედ 5–7 წლის მანძილზე ინვესტირებას გაუკეთებენ.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში ამ განცხადებამ ერთი აურზაური გამოიწვია. ამას სწრაფადვე „მტკნარი სიცრუე" უწოდეს. ჟურნალისტები მხოლოდ სენსაციას ეძებენ და საგარეო საქმეთა სამინისტროს სადა აქვს დრო, ყველა მონაჭორს პასუხი გასცესო. თანაც ეს უფრო უარყს შედეგს გამოიწვევსო. ნატოს მთავარ შტაბბინაში კი რეაქცია გაცილებით თავშეკავებული იყო. იქ არ უარყოფენ, რომ დასავლეთში მსჯელობენ რუსეთისათვის დამატებითი ფინანსების მიცემაზე. თანაც ფულის წამოსვლა კრემლისაკენ შეიძლება დაემთხვეს ბლოკის გაფართოებას აღმოსავლეთისაკენ.

ფორმალურად თითქოს არ უნდა იყოს ერთმანეთთან დაკავშირებული, მაგრამ, როგორც „იზვესტია" წერდა, ეს ძალიან ჰგავს 80-იანი წლების ბოლოს გერმანიის გაერთიანების ამბავს. მაშინ ბონმა ხომ ძალიან დიდი თანხა გადასცა მოსკოვს. არავისთვის წარმოადგენდა

● ლატვიური პრესიდან

## ფულით ყველაფრის ყიდვა შეიძლება, მათ შორის კრემლისაც
## ნატო მეზადება ამისათვის

საიდუმლოს, რომ ეს ფული ჯარების გამოყვანისა და გერმანიის გაერთიანების საფასური იყო, თუმცა, კრემლში გვერდს უვლიდნენ ამაზე საუბარს. სამაგიეროდ, თვით ამერიკის შეერთებული შტატების პრესაში გაჩნდა ცნობა, რომ ხელისუფლება თავის ევროპელ პარტნიორებთან ერთად განიხილავს მთელ კომპლექსურ ღონისძიებებს. მათი მთავარი მიზანია მოთაფლონ და დააწყნარონ რუსეთი. ფული არაა ერთადერთი საშუალება, რის შეთავაზებაც შეუძლიათ დასავლელებს. დამატებით შეიძლება ხელახლა გადახედონ ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების ხელშეკრულებას (რა თქმა უნდა, რუსეთის სასარგებლოდ) და რუსეთისათვის ნატოს სპეციალური კონსულტაციური სტატუსის მინიჭების საკითხს. შეიძლება მიზანშეწონილად მიიჩნიონ დიდ შვიდეულში (აშშ, იაპონია, კანადა, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია და იტალია) რუსეთისათვის სრულუფლებიანი როლის შეთავაზებაც და მიიღონ მერვე წევრად. სხვათა შორის, ესაა ელცინის მრავალი წლის ოცნება. ყოველივე ზემოთ ნათქვამი რომ კომმარული ბოდვა არაა, ამის არაპირდაპირი დამამტკიცებელი საბუთი გახლავთ ამერიკის შეერთებული შტატების აქტიურობა, გარდაქმნან პროგრამა პარტნიორთა ურთიერთდამოკიდებულების თავისუფლებისათვის. ასეთი რამ კი მხოლოდ ახლახან გახდა ცნობილი. დაგეგმილია, საფუძვლიანი დახმარება გაუწიონ რუსეთის ეკონომიკას და კლინტონიც ემზადება ეს ხარჯი ჩართოს 1998 წლის ბიუჯეტში.

თუმცა, სკეპტიკოსები ახლავე აცხადებენ, რომ 50 მილიარდი თვით ამერიკისა და ბლოკის სხვა სახელმწიფოებისათვის მეტად მწარე ლუკმაა. რუსეთი გაცილებით ნაკლებს მიიღებსო. ერთდროულად ფასი გაილოს ბალტიისპირეთისათვის და მით უმეტეს უკრაინისათვის. ნატოს მზადყოფნას ფანტასტიკად თვლიან. მოსკოვი ბრიუსელიდან დაარწმუნეს, რომ ამ ქვეყნების შესვლა ბლოკში მხოლოდ შორეულ მომავალში შეიძლება მოხდეს. ამავე დროს საინტერესო თვალსაზრისი გამოთქვა ბლოკის გენერალური მდივნის ერთ-ერთმა თანაშემწემ (მრჩეველმა): „ნატო არაა ჩაკეტილი ორგანიზაცია, თეორიულად მისი წევრი შეიძლება გახდეს ლატვიაც, უკრაინაც და რუსეთიც. ჩვენ არ შეგვიძლია გამოვაცხადოთ (როგორც ეს სურს მოსკოვს), რომ ესა თუ ის სახელმწიფო არასოდეს არ იქნება ბლოკში. თანაც არც ის უნდა ვიფიქროთ, რომ ნატო მხოლოდ ამაზე ოცნებობს. სრულიად დამაკმაყოფილებელია ვარიანტი, რომ არცერთ ქვეყანას არ უნდა ეშინოდეს თავისი უსაფრთხოებისა".

ბუხტი კოკარი, გაზეთი „ნეატკარიგა რიტა ავიზე", 1997 წ. 29 იანვარი
ლატვიურიდან თარგმნა
უ.სახლთხუციშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ რამე...

## იყიდება

იყიდება გასაშლელი კოსმეტიკური სავარძელი. შეიძლება მისი სტომატოლოგის მიერ გამოყენებაც. ფასი 400 ლარი ტელ. 74-23-80 იკითხეთ ნანა

იყიდება 2 ოთახიანი იზოლირებული ბინა, ჩუბინაშვილის (ყოფილი ორჯონიკიძის) ქუჩაზე. ტელეფონით, სარდაფით, იტალიური ტიპის ეზოში. ფასი 8500 დოლარი ტელ. 96-60-88

იყიდება 2 სართულიანი ეზოიანი ბინა, 6 ოთახი (სამი ზევით, სამი ქვევით). სანზონაში, თიანეთის ქ. 52, მანქანის სადგომით. ფასი 30000 დოლარი ტელ. 61-59-87

იყიდება ოთახნახევრიანი, ლოჯიანი სუფთა ბინა. ნუცუბიძის პლატო IV მ/რ 16 სართულიანი სახლის მე-7 სართულზე ფასი 9500 დოლარი ტელ. 98-96-91

იყიდება სამოთახიანი არასტანდარტული პროექტის ბინა 100 კვმ საერთო ფართით, 56 კვმ. საცხოვრებელი ფართით, მაღაზია „ელექტრონიკის" თავზე მერვე, ბოლო სართულზე. საწყისი ფასი 52000 ლარი ტელ. 38-02-69

იყიდება ერთოთახიანი მოსკოვის პროექტის ბინა ლოჯიის გარეშე 8 სართულიანი სახლის მერვე სართულზე. თემქა XI მ/რ, III კვ. 53-ე კორპ. III სად. ბ. 71. ფასი 4500 ლარი ტელ. 93-25-01 ნანა ან მიშა.

## ქირავდება

ქირავდება იზოლირებული ერთოთახიანი ბინა ლოჯიით ორ სულზე „მარჯანიშვილის" მეტროსთან. ფასი თვეში 130 ლარი ტელ. 95-19-42

ქირავდება ერთი ოთახი სტუდენტ გოგონებზე 3 ოთახიან ბინაში, ვაკეში, ფასი 130 ლარი ტელ. 23-38-66

ქირავდება 1 ოთახიანი იზოლირებული ბინა მე-4 სართულზე, ტელეფონით, მეტრო „ნაძალადევთან". ტელ. 38-13-89

## ვამზადებ

ვასწავლი ინგლისურ ენას მაღალეფექტური მეთოდით. ფასი თვეში 20 ლარი ტელ. 95-51-40

ვამზადებ სკოლის მოსწავლეებს ფრანგულ და რუსულ ენებზე. ტელ. 67-58-26 16 სთ-იდან

## ვმკურნალობ

ექიმ-პედიატრი გთავაზობთ ასთმის, ტუბერკულიოზის და სხვ. პროფილაქტიკასა და მკურნალობას. ტელ. 95-92-57, 39-47-03 მარინა

ბრონქიალური ასთმის და სხვა დაავადების, ბრონქის და ფილტვების სრული განკურნება. ტელ. 74-06-76, 74-20-31

**ვაქვეყნებთ უფასო განცხადებებს დაგვირეკეთ ყოველდღე: 93-18-41**

# სამუშაო სასწრაფოდ

შ.პ.ს. „აცტეკა" საკონკურსო პირობებით სამუშაოდ იწვევს 16-28 წლის სასიამოვნო გარეგნობის გოგონებს გამყიდველ-ოპერატორებად. ხელფასი თვეში 50-200 ლარი.

კონკურსის პირობებს გაეცნობით ადგილზე. თან იქონიეთ პირადობის დამადასტურებელი საბუთი. იჩქარეთ. ვაკანსიები შეზღუდულია. გასაუბრება ყოველდღე, გარდა კვირისა 10-დან 18 საათამდე. მისამართი: კოსტავას ქ.47, ოთახი 505. ტელ. 93-63-65

## სპრინტ-ლატარია „სიურპრიზ – მეორე არხის" მეორე ტირაჟის მესამე ტურის გათამაშების მოგებათა ცხრილი

| პრიზის დასახელება | სერია | ბილეთის ნომერი |
|---|---|---|
| 1. ვოლქმენი | პ | 57 |
| 2. კომპიუტერი | პ | 599 |
| 3. მიქსერი | მ | 452 |
| 4. წვენის საწური | პ | 758 |
| 5. მადუღარა | პ | 340 |
| 6. ტელევიზორი | ს | 7982 |
| 7. ელექტროგენერატორი | კ | 367 |
| 8. ავტომობილი | ლ | 5147 |
| 9. ვოლქმენი | ლ | 618 |
| 10. წვენის საწური | პ | 5953 |
| 11. ვიდეო მაგნიტოფონი | ო | 5000 |
| 12. ვოლქმენი | ო | 159 |
| 13. აუდიო მაგნიტოფონი | ი | 1315 |
| 14. ვიდეომაგნიტოფონი | ი | 5175 |

სპრინტ-ლატარია „სიურპრიზ-მეორე არხი" ტელერადიოკომპანია „მეორე არხის" პირდაპირი ეთერით ყოველ კვირას თამაშდება. გათამაშებაში მონაწილეობს ტირაჟის არამომგებიანი ბილეთი. სპრინტის მომგებიანი ბილეთების ნომრები ლატარიაში არ მონაწილეობს.

თქვენ მიერ შეძენილი სპრინტის არამომგებიან ბილეთს, შესაძლოა, უკვე მოგებული ჰქონდეს რაიმე პრიზი ლატარიაში. ინფორმაცია ამის შესახებ უშუალოდ ბილეთის შეძენისთანავე შეგიძლიათ მიიღოთ გაზეთ „ალიაში" გამოქვეყნებული ცხრილებიდან ან ტელეკომპანია „მეორე არხის" პირდაპირ ეთერში.

ლატარიაში გათამაშებული მოგებები გაიცემა მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მუშტაიდის ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე ავტოსერვისცენტრ „მაგნატის" ოფისში არაუგვიანეს 1 მარტისა.

# რა, როდის და რომელ არხზე

### 17 თებერვალი, ორშაბათი

8.00 ალიონი. 18.00 „მოამბე". „ორშაბათი მძიმე დღეა". „ექიმის მოსვლამდე". „50/50". რამპა. 20.00 „მოამბე". 20.35 „ვიდეოპატრული 02". 20.40 „ბასტი-ბუბუს მულტი-პულტი". პროგრამა „დღე". 21.20 მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „კასანდრა" (ვენესუელა). 22.00 „ვესტნიკი" (რუსულ ენაზე). რამპა. 22.30 ქართული მხატვრული ფილმი „წარსული მუდამ ჩვენთანაა". 23.50 „ქვიშის საათი".

19.00 „ინფორმაცია მეორე არხი". 19.20 მულტფილმები, სპორტული ესტაფეტა (გასული კვირის მსოფლიო სპორტის მნიშვნელოვანი ინფორმაციები). 21.30 „ინფორმაცია მეორე არხი", რეკლამა. 22.00 ამერიკული მხატვრული ფილმი „შეშლილი პროფესორი" (მთ. როლში ედი მერფი). პროგრამის დასასრულს - მუსიკა.

11.00 დილის გამამხნევებელი ვარჯიში. 11.15 მულტფილმები. 11.30 რეკლამა და მუსიკა. 13.30 ამერიკული მხატვრული ფილმი. 15.30 საინფორმაციო პროგრამა. რეკლამა და მუსიკა. მულტფილმი. დოკუმენტური სერიალი.

Профилактика до 17.00, 20.00, 1.25 НОВОСТИ. 17.20 Мультсериал. 17.45 Марафон-15. 18.00 Звездный час. 18.40 "НИКО И ЕГО ДРУЗЬЯ". Молодежный сериал. 19.10 ...До шестнадцати и старше. 19.35 Вокруг света. 20.15 "ДЕВУШКА ПО ИМЕНИ СУДЬБА". Сериал. 21.10 Час пик. 21.35 Угадай мелодию. 22.00 "Человек в маске". Программа В.Познера. 22.45 Спокойной ночи, малыши! 23.00 Время. 23.45 "ПОЛТЕРГЕЙСТР". Фантастический сериал. 0.40 Театр + TV. Алла Демидова. 1.35 Историческая драма "МЕСТЬ". Реж. Е. Шинарбаев (Казахстан). 3.25 Пресс-экспресс.

9.00 Утренний экспресс. 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 1.00 Вести. 10.15. Товары - почтой. 10.25 "КЛУБНИЧКА". Сериал. 10.55 Дорогая редакция. 11.20 Товары - почтой. 11.30 Караоке по-русски, 12.05 "САНТА-БАРБАРА". 12.55, 13.15 Товары - почтой. 13.25 Деловая Россия. 14.05 За околицей. 14.20 Сад культуры. 14.50 Палиха, 14. 14.55 Автограф. 15.00 Субботный вечере с Шарлем Азнавуром. 15.55 Магазин недвижимости. 16.25 Комедия "НЕОБЫЧНЫЕ ПРИКЛЮЧЕНИЯ МИСТЕРА ВЕСТА В СТРАНЕ БОЛЬШЕВИКОВ". 17.50 "Зимние сны". Док.фильм. 18.00 Ноу хау. 18.25 Домашний доктор. 18.30 Новое пятое колесо. 19.15 Иванов, Петров, Сидоров и другие. 19.55 Там-там новости. 20.05 Лукоморье. 20.25 Посмотри на себя. 20.40 "КЛУБНИЧКА". Сериал. 21.10 Двойной портрет. 21.40 VIP. 22.35 Ночная жизнь городов мира. Копенгаген. 23.10 "САНТА-БАРБАРА". 0.10 Развлекательная программа. 1.30 Телелотерея. 1.55 Дежурная часть. 2.10 Юбилейный вечер театра им. Е.Вахтангова. 3.00 Ночная жизнь городов мира. Копенгаген.

8.00, 8.30, 9.00, 9.30, 10.00, 10.30, 11.00, 11.30 Сегодня утром. 8.10, 9.35 Наша летопись. 8.25, 10.45 Криминал. 8.40 Карданный вал. 8.45, 11.50 Градусник. 8.55 За гранью. 9.20 Ретро-новости. 9.40, 11.45 Я - телохранитель. 9.50 В печать. 10.10, 11.25 Час быка. 1-.20 Впрок. 10.35 Новости шоу-бизнеса. 12.00 Сегодня утром. 12.15 Утречко. 12.30 Драма "ДЕТИ В ТЕМНОТЕ". Реж. М.Свитцер. В ролях: П.Хортон, Т.Поллан. (США). 14.00 Сегодня днем. 16.20 Большое Времечно. 17.05 Сериал "ГАЛИФАКС" (Австралия). 18.00 Сегодня днем. 18.20 Деньги. 18.35 Дистанция 60. 19.35 Сериал "ГОЛУБОЕ ДЕРЕВО". 20.30 Футбольный клуб. 21.00 Сегодня вечером. 21.35 Герой дня. 22.00 Хоккей. Регулярные матчи чемпионата НХЛ. "Филадельфия" – "Питтсбург". 0.00 Сегодня вечером 0.40 Времечко. 1.00 Сериал "СКОРАЯ ПОМОЩЬ". 2.00 Сегодня в полночь. 2.20 Ночное Времечко.

### 18 თებერვალი, სამშაბათი

8.00 ალიონი. 18.00 „მოამბე". ქართული მხატვრული ფილმი „დიდედები და შვილიშვილები". XXI. 20.00 „მოამბე". „ვიდეოპატრული 02". „ბასტი-ბუბუს მულტი-პულტი". პროგრამა „დღე". 21.20 მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „კასანდრა" (ვენესუელა). 22.00 „ვესტნიკი" (რუსულ ენაზე). ასპარეზი. TBC სტუდია გთავაზობთ. პროგრამის დასასრულს - „ქვიშის საათი".

19.00 „ინფორმაცია მეორე არხი". 19.20 მულტფილმები, სპორტული გადაცემა „გოლი". „პოდიუმი". 21.30 „ინფორმაცია მეორე არხი", რეკლამა. 22.30 ამერიკული მხატვრული ფილმი „ბრალდების მოწმე" (მთ. როლებში: მარლენ დიტრიხი და ჩარლზ ლოუტონი).

11.00 დილის გამამხნევებელი ვარჯიში. 11.15 მულტფილმები. 11.30 რეკლამა და მუსიკა. 13.30 ამერიკული მხატვრული ფილმი. 15.30 საინფორმაციო პროგრამა. რეკლამა და მუსიკა. ჩვენი სტუმარი TBC სტუდია.

8.00 Телеканал "Доброе утро". 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 1.30 НОВОСТИ. 11.15 "ДЕВУШКА ПО ИМЕНИ СУДЬБА". Сериал (две серии). 12.35 Смехопанорама. 13.10 Мультфильм. 13.30 Угадай мелодию. 14.10 "СЕМНАДЦАТЬ МГНОВЕНИЙ ВЕСНЫ". 1-я с. 15.20 Человек и закон. 15.45 Мультфильм. 15.50 КВН-ассорти. 16.15 Программа Эд.Радзинского "Загадки истории". 17.20 Мультсериал. 17.45 Квартьете "Веселая квампания". 17.55 Мультитроллия. 18.10 Волшебный мир, или Синема. 18.40 "НИКО И ЕГО ДРУЗЬЯ". Сериал. 19.10 ...До шестнадцати и старше. 19.35 Вокруг света. 20.15 "ДЕВУШКА ПО ИМЕНИ СУДЬБА". 21.10 Час пик. 21.35 Угадай мелодию. 22.00 Тема. 22.45 Спокойной ночи, малыши! 23.00 Время. 23.45 Все фильмы Гайдая. "ЧАСТНЫЙ ДЕТЕКТИВ, ИЛИ ОПЕРАЦИЯ "КООПЕРАЦИЯ". 1.45 Хит-парад. 2.55 Пресс-экспресс. 2.35 "Метод крекера".

9.00 Утренний экспресс. 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 1.00 Вести. 10.15. Мультфильмы. 10.25 "Клубничка". 10.55 Дорогая редакция. 11.20 "Аншлаг". 11.45 В мире животных. 12.15 "САНТА-БАРБАРА". 13.15 Мультфильм. 13.25 Деловая Россия. 14.05 За околицей. 16.25 Худ.телефильм "ПРИЗРАКИ ЗЕЛЕНОЙ КОМНАТЫ". Реж. Ю.Борецкий. А ролях: В.Тихонов. И.Скобцева (Ялта-фильм). 17.40 "Пямати Врубеля". Док. фильм. 18.00 Врача вызывали? 18.25 Манекен. 18.30 Ваше право. 19.15 Иванов, Петров, Сидоров и другие. 19.55 Там-там новости. 20.05 Лукоморье. 20.25 Посмотри на себя. 20.40 "КЛУБНИЧКА". 21.10 Момент истины. 21.40 VIP. 22.35 "Аншлаг". 23.10 Телесериал "САНТА-БАРБАРА". 0.10 Добрый вечер. 1.30 Телетеатр. И.Бунин. "В Париже". В ролях: А.Михайлов, С.Аманова. 2.10 Горячая десятка. 3.10 Только для взрослых. 3.15 Товары - почтой.

8.00, 8.30, 9.00, 9.30, 10.00, 10.30, 11.00, 11.30 Сегодня утром. 8.10, 9.35 Наша летопись. 8.25, 10.45 Криминал. 8.40 Карданный вал. 8.45, 11.50 Градусник. 8.55 За гранью. 9.20 Ретро-новости. 9.40, 11.45 Я - телохранитель. 9.50 В печать. 10.10, 11.25 Час быка. 10.20 Впрок. 10.35 Финансы и бизнес. 10.50 На свежую голову. 11.35 Новосты шоу-бизнеса. 12.00 Сегодня утром. 12.15 Утречко. 12.30 Фестиваль аргентинского кино. Муз.комедия "БЕДНЕЕ ЦЕРКОВНОЙ МЫШИ". Реж. Р.Джасовино. В ролях: Л.Торрес, А.Дальбес. 14.00 Сегодня днем. 14.20 Книжные новосты. 14.35 Деньги. 14.50 Компьютер. 15.00 Откритый мир. 15.05 Ваш адвокат. 15.10 Телегазета. 15.15 Откровения 15.25 Французский язык для детей. 15.40 "Бурда моден" предлагает. 16.00 Сегодня днем. 16.20 Большое Времечко. 17.05 Сериал "ГАЛИФАКС". 18.00 Сегодня днем. 18.20 Деньги. 18.35 Дистанция 60. 19.35 Сериал "ГОЛУБОЕ ДЕРЕВО". 20.30 Улица Сезам. 21.00 Сегодня вечером. 21.35 Герой дня. 22.00 Криминальная мелодрама "УМИРАЮТ ТОЛЬКО ДВАЖДЫ". Реж. Ж.Дерэ. В ролях: Ш.Ремплинг, Э.Депардье (Франция). 0.00 Сегодня вечером 0.40 Времечко. 1.00 Сериал "СКОРАЯ ПОМОЩЬ". 2.00 Сегодня в полночь. 2.20 Ночное времечко. 3.00 Магазин на диване.

### 19 თებერვალი, ოთხშაბათი

8.00 ალიონი. 18.00 „მოამბე". მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ძაღლი" „50/50" 20.00 „მოამბე". „ვიდეოპატრული 02". 20.45 „ბასტი-ბუბუს მულტი-პულტი". პროგრამა „დღე". 21.20 მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „კასანდრა" (ვენესუელა). 22.00 „ვესტნიკი" (რუსულ ენაზე). გაერთიანება „ილუზიონი" გთავაზობთ გადაცემა „სინემა". პროგრამის დასასრულს - „ქვიშის საათი".

19.00 „ინფორმაცია მეორე არხი". 19.20 მულტფილმები, სიყვარულის ისტორია. 21.30 სარეკლამო ბლოკი და „ინფორმაცია მეორე არხი". 22.10 ქართული მხატვრული ფილმი „აურზაური სალხინეთში" (მთ. როლებში: კახი კავსაძე და სოფიკო ჭიაურელი). პროგრამის დასასრულს - მუსიკალური გადაცემა.

12.00 დილის გამამხნევებელი ვარჯიში. 12.15 მულტფილმები. 12.15 რეკლამა და მუსიკა. 14.30 რუსული მხატვრული ფილმი. 16.30 საინფორმაციო პროგრამა. რეკლამა და მუსიკა. ჩვენი სტუმარი TBC სტუდია.

8.00 Телеканал "Доброе утро". 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 1.35 НОВОСТИ. 11.15 "ДЕВУШКА ПО ИМЕНИ СУДЬБА". 12.00 Тема. 12.40 В мире животных. 13.15 Мультфильм. 13.30 Угадай мелодию. 14.10 "СЕМНАДЦАТЬ МГНОВЕНИЙ ВЕСНЫ". 2-я с. 15.25 Мультфильмы. 16.00 КВН-ассорти. 16.20 Программа Эд.Радзинского "Загадки истории". 17.20 Мультсериал. 17.45 Кактус и К. 17.55 Доми-соль. 18.10 Зов джунглей. 18.40 "НИКО И ЕГО ДРУЗЬЯ". Сериал. 19.10 ...До шестнадцати и старше. 19.35 Вокруг света. 20.15 "ДЕВУШКА ПО ИМЕНИ СУДЬБА". 21.10 Час пик. 21.35 Угадай мелодию. 22.00 "Чтобы помнили" Леонид Быков. 22.45 Спокойной ночи, малыши! 23.00 Время. 23.45 "МАКСИМ ПЕРЕПЕЛИЦА". Комедия. 1.45 Пресс-клуб. 3.00 "МЕТОД КРЕКЕРА". Остросюжетный сериал. 3.50 Великие хиты.

9.00 Утренний экспресс. 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 1.00 Вести. 10.15. Товары - почтой. 10.25 "КЛУБНИЧКА". Сериал. 10.55 Дорогая редакция. 11.20 Товары – почтой. 11.30 Развлекательная программа. 12.05 "САНТА-БАРБАРА". 12.55 Товары - почтой. 13.25 Деловая Россия. 14.05 За околицей. 14.20 Момент истины. 14.50 Эксповестник. 14.55 Автограф. 15.00 К-2 представляет: А.Герман в программе "Абзац". 15.55 Магазин недвижимости. 16.25 Прощай молодость! Кинокомедия "СОЛДАТ ИВАН БРОВКИН НА ЦЕЛИНЕ". Реж. И.Лукинский. В ролях: Л.Харитонов, Т.Пельтцер (Мосфильм). 18.00 Частная коллекция. 18.25 Эксповестник. 18.30 Образ жизни. 19.15 Иванов, Петров, Сидоров и другие 19.55 Там-там новости. 20.05 Лукоморье. 20.25 Посмотри на себя. 20.40 "КЛУБНИЧКА". 21.10 Парламент. 21.40 VIP. 22.35 Развлекательная программа. 23.10 "САНТА-БАРБАРА". 1.10 Добрый вечер. 1.30 Богема. 2.10 Блок-нот. 3.00 Только для взрослых. 3.10 Товары - почтой.

8.00, 8.30, 9.00, 9.30, 10.00, 10.30, 11.00, 11.30 Сегодня утром. 8.10, 9.35 Наша летопись. 8.25, 10.45 Криминал. 8.40 Карданный вал. 8.45, 11.50 Градусник. 8.55 За гранью. 9.20 Ретро-новости. 9.40, 11.45 Я - телохранитель. 9.50 В печать. 10.10, 11.25 Час быка. 10.20 Впрок. 10.35 Финансы и бизнес. 10.50 На свежую голову. 11.35 Новости шоу-бизнеса. 12.00 Сегодня утром. 12.15 Утречко. 12.30 Док. сериал "Дикая природа". Фильм 1-й. "Львы с Энтони Хопкинсом" (Великобритания). 13.30 Улица Сезам. 14.00 Сегодня днем. 14.20 Книжные новости. 14.35 Деньги. 14.50 Компьютер. 15.00 Открытый мир. 15.05 Ваш адвокат. 15.10 Русская речь. 15.25 Немецкий язык для детей. 15.40 Листая страницы. 16.00 Сегодня днем. 16.20 Большое Времечко. 17.05 Сериал "ГАЛИФАКС" (Австралия). 18.00 Сегодня днем. 18.20 Деньги. 18.35 Дистанция 60. 19.35 Сериал "ГОЛУБОЕ ДЕРЕВО". 20.30 Улица Сезам. 21.00 Сегодня вечером. 21.35 Герой дня. 22.00 Драма "ОПЕРАЦИЯ "ОГРО". Реж. Д.Понтекорво. В ролях: Д.Волонте, А.Молина (Италия-Испания-Франция). 0.00 Сегодня вечером 0.40 Времечко. 1.00 Сериал "СКОРАЯ ПОМОЩЬ". 2.00 Сегодня в полночь. 2.20 Ночное Времечко. 3.00 Меломания.

## ვაჟა ოთარაშვილი

„მოვდით, გავცვრად მაინც ვუთხრათ
ერთმანეთს სიმართლე, მხოლოდ სიმართლე
და არაფერი სიმართლის გარდა".
პრეზიდენტის სიტყვიდან

### ივერთა რუკა

მშიერ მოხუცებს ნაგვის ყუთებთან
ბრაზით უღრენენ ქუჩის ძაღლები...
ცარიელ კუჭებს ქარი უტევდა,
ქარი უტევდა ნერწყვის ტალღებით...
კონსერვის ქილებს, დახეულ პარკებს,
ხელის კანკალით სინჯავდნენ რიდით...
პირველკაცობის ომში დავკარგეთ
თურმე საყრდენიც ჩატეხილ ხიდის...
და საარჩევნო დაპირებებით
და მკერდზე ხელის ფუჭი ბრაგუნით,
თანდათანობით ჩაცხრა ვნებები
და ისევ თიხად იქცა აგური...
როგორ ვკარგავდით ქართველი ქართველს,
(თუმცა ვერ გრძნობდნენ ამას მაძღრები...)
უფალო, ისევ მოთმენა გვმართებს?
უფალო, ჩვენზე ნუღარ გაწყრები...

. . . . . . . . . .

პენსიასავით მოჰქონდათ თოვლი,
თან ქარებს ფეხი რჩებოდათ უკან...
და მასწავლებლის ხელფასის ტოლი,
დარჩენილიყო ივერთა რუკა...



თარაზულად: 1. „დო"-ების არარსებული ქვეყანა; 6. რესტორანში მომსახური „ოფიცერი"; 8. „კეტიანი" [illegible]; 10. [illegible] „მოთხოვნილება", რაც აქვს მხოლოდ რუსთავს; 11. დამოუ[illegible] [illegible] „ქ[illegible]" [illegible]ვარი; 12. „[illegible]" ავადმყოფობა; 14. „[illegible]" გამოუწვავი აგური; 17. „დონის" ჭაბუკი, აფროდიტეს სატრფო; 19. თიკას „გოიმური" ვარიანტი; 21. მცენარეული „ელექტრო სირი"; 22. „მილებში" გაზომილი პოლიცია; 25. საავადმყოფოს დარბაზი, სადაც „ავადმყოფები წვანან"; 27. „კოვბოიზე" გათხოვილი თავქარიანი გოგონა (ფილმ.კავშ.); 28. საქმიფო და სამგზავრო წყლის ტრანსპორტი; 30. სიახლის გრძნობას მოკლებული ლამის „სუტინიორი"; 31. ქაღალდში შეფუთული „კეტი"; 32. „მფრინავი" ტიბეტური ხარი; 33. საქონლის „მორგი"; 34. „სონის" ფირმის ფეხბურთელი „პირველ მერცხალში".

შვეულად: 2. ოსტატობის „მჭრელი" ხარისხი კარატეში; 3. ფოტოაპარატის „ობიანი" „ტივი"; 4. „მინებით" გაკეთებული მეჩეთის კოშკი; 5. შუამავალი „ლერი" სავაჭრო გარიგებაში; 6. შუა საუკუნეებში „ორი დალის" წამება გახურებული შანთით და სხვ. 7. კაცი, რომელმაც დაამტკიცა დარვინის თეორია (ფილმ.კავშ.); 8. „ორი მელიის" შენადნობი, რომელიც ვერცხლს გავს; 9. „სამი" სამეცნიერო ხარისხი (რუს.კავშ.); 13. სისხლის სამართლის „კოდირებული" კანონი; 15. ეს არის, როგორც ეკონომიკაში, ასევე ციხეში; 16. „უამრავი" გიჟი „ანის" ქუჩა თბილისში; 17. „მულატი" ხელსაწყო, რომელშიც ხდება ელექტროენერგიის დაგროვება „ტორებით"; 18. „ალექსანდრეს" ძვირფასი ქვა; 20. ის, რასაც მთელი თვე ელი და 3 დღეში თავდება; 23. მისტიკური „კულტიზმი"; 24. „დატორილი" წარმოსახვითი ხაზი, რომელიც გარს უვლის დედამიწას; 26. უფერული გაზი „ტიბეტური ხარისთვის"; 29. „შესაცხადებელი" ტროპიკული ხილი; 31. პოლონელი „ანი".

აკაკი ცოტაძე

## საქართველოში ყველაზე გავრცელებული ათასი გვარი

*საქართველოში სულ 25000-ზე მეტი გვარია. პირველ ათასეულში შედიან შემდეგი გვარები: (შენიშვნა - გვარის წინ მოთავსებული ციფრის გვიჩვენებს რაოდენობის მიხედვით ადგილს, გვარის შემდეგ მოთავსებული ციფრი კი ამ გვარის რაოდენობას)*

61. ალიევი 5600
62. აბრამიშვილი 5590
63. კურტანიძე 5580
64. რაზმაძე 5574
65. მუმლაძე 5540
66. დვალიშვილი 5484
67. ჯინჭარაძე 5471
68. ხურციძე 5393
69. თურმანიძე 5364
70. რობაქიძე 5324
71. კალანდაძე 5281
72. კიკნაძე 5245
73. ქობალია 5209
74. ნადირაძე 5166
75. გურგენიძე 5110
76. წულაია 5091
77. აფციაური 5083
78. ჯანელიძე 5020
79. ყურაშვილი 4971
80. ხველელიძე 4965
81. მიქაძე 4950
82. ზოიძე 4934
83. ჩიხლაძე 4933
84. კახიძე 4848
85. პეტროსიანი 4837
86. კოპალიანი 4832
87. მჭედლიძე 4801
88. გორგაძე 4751
89. კილაძე 4747
90. ლაბაძე 4631
91. ლობჟანიძე 4626
92. მამულაშვილი 4578
93. სარქისიანი 4572
94. ბერაძე 4567
95. ირემაძე 4554
96. მიქავა 4550
97. შაინიძე 4540
98. ახვლედიანი 4531
99. გაგუა 4526
100. გოგაური 4516
101. გოგიტიძე 4516
102. შავაძე 4516
103. ბრეგვაძე 4497
104. ახალაია 4452
105. რეხვიაშვილი 4373
106. გაფრინდაშვილი 4365
107. ჩიქოვანი 4358
108. გაჩეჩილაძე 4325
109. რუხაძე 4319
110. აბესაძე 4280
111. კუპატაძე 4280
112. ჯალაღონია 4269
113. წურწუმია 4266
114. ოგანესიანი 4258
115. თევზაძე 4225
116. ჭუმბურიძე 4215
117. ხურცილავა 4172
118. კარაპეტიანი 4151
119. ბერუაშვილი 4123
120. ბერიშვილი 4107
121. მჟავანაძე 4088
122. მეგრელიშვილი 4071
123. ლიპარტელიანი 4068
124. ლეჟავა 4063
125. მესხი 4054
126. ბარამიძე 4000
127. წერეთელი 3992
128. არუთინოვი 3984
129. ფხაკაძე 3979
130. სირაძე 3958
131. ყორყოლიანი 3943
132. ვაშაკიძე 3915
133. ფერაძე 3903
134. ჯოჯუა 3858
135. ქირია 3857
136. ტყეშელაშვილი 3849
137. კაზარიანი 3819
138. ჩხეიძე 3799
139. ლომთაძე 3776
140. მგელაძე 3761
141. გაგნიძე 3741
142. გოგია 3729
143. გრიგალაშვილი 3723
144. ასათიანი 3716
145. მღებრიშვილი 3711
146. მაღლაკელიძე 3705
147. გოგიაშვილი 3700
148. ონიანი 3693
149. შალამბერიძე 3679
150. მახარაშვილი 3651
151. ღვინიაშვილი .3608
152. ბიწაძე 3601
153. ღლონტი 3598
154. დავითაშვილი 3590
155. მაღრაძე 3588
156. ჭკადუა 3586
157. ქაჯაია 3585
158. ჩადუნელი 3578
159. მანუკიანი 3561
160. ჯანაშია 3559
161. მაჭავარიანი 3536
162. ნაცვლიშვილი 3535
163. ლომსაძე 3531
164. ღონღაძე 3524
165. ცუცქირიძე 3513
166. ბექაური 3463
167. ტალახაძე 3460
168. ქვანია 3454
169. კაკაბაძე 3444
170. ბლიაძე 3396
171. ხაჩატურიანი 3387
172. გოგუაძე 3385
173. ბენდელიანი 3379
174. ბახტაძე 3369
175. ლორთქიფანიძე 3367
176. პეტრიაშვილი 3353
177. თავაძე 3352
178. ჯოხაძე 3340
179. ქლენტი 3335
180. ხარაიშვილი 3313
181. ბერაია 3312
182. ქართველიშვილი 3283
183. საჯაია 3278
184. გვასალია 3272
185. ოქროპირიძე 3269
186. რამიშვილი 3259
187. ჩხიკვაძე 3247
188. პაპავა 3234
189. თოფურია 3225
190. ვეკუა 3158
191. გოგუა 3141
192. დვალი 3135
193. ქუთათელაძე 3131
194. ხელაძე 3109
195. კანდელაკი 3108
196. კაჭარავა 3108
197. ბაქრაძე 3106
198. აკოფიანი 3091
199. სანიკიძე 3082
200. ჭეიშვილი 3077

## ეპისკოპოსი, რომელმაც შეძრა ეკლესია

ინგლისის კათოლიკური ეკლესიის მაღალი რანგის ერთ-ერთი სასულიერო პირი მაშინვე მიიმალა, როცა მისი სატრფიალო ამბები გამოაშკარავდა. Argyll-ის ოლქისა და ჩრდილოეთის კუნძულთა ეპისკოპოსს Roderick Wright-ს მრავალი წლის განმავლობაში ორი საყვარელი რომ ჰყოლია და, ამავე დროს, საზოგადოებისაგან დაფარულად 15 წლის ვაჟიშვილი, ესეც გამოაშკარავდა. Wright-ის პირადმა ცხოვრებამ და იმანაც, რომ თხუთმეტი დღის წინ იქაურობიდან უხმურად გადაიკარგა ქმარგაცილებული, სამშვილიანი მედიცინის მედდა, ამან უფრო დააინტერესა საზოგადოება. ეპისკოპოსმა, რომელიც ამ კვირას გამოჩნდა, განაცხადა და დაადასტურა, რომ ფიზიკური და სულიერი მოვალეობანი ვერ შეუთავსა ერთმანეთს. ამ ამბებით გამოწვეული შოკი ჯერ არ იყო მინელებული, რომ Jaonna Whibly-მ - 15 წლის ბავშვის დედამ განაცხადა - მისი შვილის Kevin-ის მამა Wright-ია. ამ განცხადებამ შეძრა ეკლესია.

ძალზე შეწუხებულმა ინგლისის კათოლიკური ეკლესიის კარდინალმა Basil Hume-მ ბრძანა, რომ სასულიერო პირთა უკეთ ზნესრულყოფა და განსწავლაა საჭირო.

თურქული გაზეთი Milliyet-ი

## ღამით აღვირახსნილი ტრფიალი, დილით პოლიციაში გულის ფრიალი

ორი ჰოლანდიელი ტურისტი არდადეგების გასატარებლად ჰოლანდიიდან თურქეთში ჩამოვიდა: ღამე მათ თურქ ახალგაზრდებთან გაატარეს, დილით კი პოლიციაში ჩივილი დაიწყეს - მამაკაცებს პრეზერვატივები არ გამოუყენებიათო.

ჰოლანდიელებმა - 20 წლის Vuanne Cuijlit-მა და 23 წლის Nicolette Schmid-მა გაიცნეს 33 წლის კალენდერ თურქანი და იქაური ტურისტული ორგანიზაციის ხელმძღვანელი 30 წლის ჰასან უსლუ - კაპიტანი.

ვახშმის შემდეგ ჰოლანდიელი ტურისტები ჰასან უსლუს სახლში გაჰყვნენ; იქ ერთი ლაზათიანად შეთვრნენ და კაცებს ლოგინში ჩაუგორდნენ. დილით, როცა გონს მოეგნენ (ღამე ამ მამაკაცებთან ვიწექითო), პოლიციას მიმართეს ჩივილით.

Cuijlit-მა და Schmid-მა დაუფარავად თქვეს, რომ შიდსის გვეშინიაო და დასძინეს: „ჩვენ ამ მამაკაცებთან ჩვენის სურვილით ვიყავით. ღამით ჩვენ მათთან სქესობრივი კავშირი გვქონდა თუ არა, აღარ გვახსოვს; მათ თუ პრეზერვატივები არ უხმარიათ წუხელ, ჩვენ შეიძლება შიდსით დაავადდეთ, ამიტომ ახლავე მოჰკიდეთ ამ ბიჭებს ხელი და ანალიზი გაუკეთეთო". ბიჭებს, რომლებიც ჯანმრთელობის ცენტრში წაიყვანეს, ანალიზის შედეგად შიდსი არ აღმოაჩნდათ.

ახალგაზრდები არც დაუკავებიათ და არც ბრალი დაუდვიათ რამეში, ისინი გაათავისუფლეს.

თურქული გაზეთი Milliyet-ი

## ულვაშთა მეფის შოკური დადანაშაულება

ცოლმა და ორმა ბიძაშვილმა „ულვაშების რეკორდსმენს" - მეელუდ დოლანს 135 სმ ულვაშები შეკრიჭეს და მიყუჩდნენ; მაგრამ დოლანის მიმართ აღიძრა მძიმე დანაშაული. ახლობლებმა ბოლოს დაადასტურეს, რომ მეელუდ დოლანის ულვაშები წინდაწინ დააზღვიეს, რომლის შედეგადაც ის დიდძალ ფულად თანხას მიიღებდა, შემდეგ კი ეს ოინი გაითამაშეს.

თურქული გაზეთი Aksam-ი

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444